

ს ა მ ს ი



საკოლიტიკო, სამეცნიერო და სალიბერატურო ნახატოვანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 21

მ ა ი ს ი 23 1899 წ.

№ 21

შინაარსი: ორი პოეტი ნ. ყორღანაისი.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“ ჟორესპონდენციები.—კვირიდან „ვერამდე“—
ალექსანდრე პუშკინი ირ. წერეთლისა.—სამი წყარო, ლექსი პუშკინიდან ირ. წ—ისა.—სურათები ჩვენი ცხოვრებიდან ია ევა-
ლაძესა.—მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ არც. ანჯაფარიძისა.—წერილი რედაქციის მ მართ —კვალის ფოსტა და განცხადება.

რედაქციის ადრესი: არცილერის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.



ორი პოეტი.

ამ თვეში ორი შესანიშნავი პირის ასი წლის და-
ბადების დღეა—ჰონორე ბალზაკის (რეა მისის და ალექ-
სანდრე პუშკინის 26 მაისს. პირველი საფრანგეთის
გამოჩენილი ბელეტრისტიკა, მეორე რუსეთის გამოჩე-
ნილი პოეტიკა. პირველმა სახელი გაითქვა თავისი
პროზით, ხოლო მეორემ თავისი ლექსით. მათ შო-
რის ის უმთავრესი განსხვავებაა, რომ ისინი სხვა-და-
სხვა ერის შეილია, სხვა-და-სხვა კულტურის წარმო-
მადგენელია. მათ შორის ის უმთავრესი მსგავსებაა,
რომ ორივემ ნათლათ დაახასიათა თავის დროის სა-
ზოგადოება, თავის დროის კულტურული მდგომარე-
ობა. წაიკითხეთ თქვენ ბალზაკი და ზედ-მიწვე-
ნით გაეცნობით პარიჟის მე-30 წლების ცხოვრებას.
წაიკითხეთ თქვენ პუშკინი და ასევე ჩინებულათ გა-
ეცნობით პეტერბურგის მე-30 წლების ცხოვრებას.
ბალზაკმა ფარდა ახადა საფრანგეთის ახალ მოძრაო-
ბას, გარეთ გამოიტანა მისი ჩარხი და შარაზე დადვა,
შემოხედეთ და იცანით შიგ თქვენი თავიო. პუშკინმა,
თავის მხრივ, ნათელჰყო რუსეთის განახლებული სა-
ზოგადოება, მისი სულის კვეთება და მიდრეკილება.
დიახ, თავისი ერის უმაღლესი ნაწილის ლტოლვილე-
ბას ერთიკ ვეინატავს და მეორეკ. მარა რა დიდი



ალექსანდრე სერგეის ძე
პუშკინი

გარჩევა მათ შორის! რა გძელი მანძილია ერთიდან მეორემდე! ბალზაკის არც ერთი გმირი არ ჰგავს პუშკინის გმირს და პირ იქით, პუშკინის ვერც ერთ გმირს ვერ შეხედებით ბალზაკის ნაწერებში. საფრანგეთის ბელეტრისტი თქვენ თვალწინ ატარებს საქმის ხალხს: ბანკირს, მრეწველს, არტისტს, მევახშეს, ჟურნალისტს, მემამულეს, პოლიტიკოსს და სხ. ხოლო რუსეთის პოეტს კი თავი მოუყრია მოქციეფე, მოლაზღანდარე და უმიზნოთ მოტანტალე ხალხისთვის და ზედ თანამედროვეთ უთითებს, აი რა შეილება ბრძანდებით თქვენო. და განა პუშკინი დამნაშავეა იმაში, რომ მისი ეგვენი ონეგინი განხორციელებული არა-რაობის მატარებელია? განა ბალზაკი განსაცვიფრებელია იმაში, რომ მისი ნუჟინსენი, ერთხელ ლატაკი ვიგინდარა, ბოლოს თავის საქმიანობით ჭ მოხერხებით სახელმწიფო საქმეებსაც კი თავდაყირა ატრიალებს? არა, ორივე მწერალმა დახატა ის, რაც ნახა, რაც ცხოვრებამ მათ დაუკითხავათ შექმნა და შეაზავა. და თუ მათ მიერ დახატული ერთი მეორის სრული წინააღმდეგობაა, ცხადია ეს იმიტომ, რომ ერთი მეორის წინააღმდეგობა იყო მაშინდელი რუსეთის და საფრანგეთის ცხოვრება. ისინი სხვა-და-სხვა წიგნს კითხულობდნ და, რაღა გასაკვირველია სხვა-და-სხვა აზრიც გამოეტანათ...


მე არ ვიცი იმაზე მეტი სასოწარმკვეთი, როგორც არის მორალურათ დიდი ბედნიერება, ხოლო მატერიალურათ კი დიდი უბედურობა — ამბობს ბალზაკის ერთი გმირი. და აი, ბალზაკის ფრანგინი სულ ამ ნიეთიერი კმაყოფილების ძებნაშია. „ЦВѢТЫ, ЛЮБОВЬ, ДЕРЕВНЯ, ПРАЗДНОСТЬ“ — აი რას ეტრფის პუშკინის ხალხი. ნიეთიერი კმაყოფილება არაფერია, მორალური — ყველაფერი, აი რას აღიარებენ პუშკინის რუსები. და, მერწმუნეთ, ეს ორი მცნება ორი ხანის ძირითადი დახასიათებაა, ხანის ახალის, ბურჟუაზიულის და ხანის ძველის, რაინდულ — ფეოდალურის.

რა ენით, რა საგანზე ლაპარაკობენ ამ ორი ხანის წარმომადგენელნი? „გამაკვებიეთ ერთი, რანაირათ შეიძინა მან ამოდენა შეძლება? ეკითხება ბალზაკის კანტიური თავის მეგობართ, ჯერ კიდევ 1819 წ. ის ერთ ღარიბ ოჯახში ცხოვრობდა, მისა მშობლები ცხოვრებას იჭირებდნ, რომ შეილისთვის თვეში ასი ფრანკი ეგზავნათ და კიდევ მის ამართ იყო ერთი ძმა და ორი და, ახლა... — ახლა მას აქვს 40 ათასი ფრანკი წლიური შემოსავალი, ჩაერია მეორე. — 1827 წ. მე მას ეხედავდი უგროშოთ, შეეცა მე-სამემ. — ეს ხომ ყველა ასეა, მარა ახლა კი საკვა გახდება მინისტრი, საფრანგეთის პირველი კეთილშობილი, ერთი სიტყვით რაც ვინდა ყველაფერი“...

(„La maison Nucingen“). — რატომ მაინ-და-მაინც სხვა დავამარცხოთ? როცა შენ მილიონერი შეიქნები, ორჯელ ისაღილებ თუ? ან შეიძლება სხვა ცოლი გინდოდეს? ეკაპასება ცოლი ქმარს, რომელმაც განიზრახა თავისი პატარა ღუქნის დახურვა და მთელი თავისი შეძლებით მიწა-ადგილის სპეკულაციის დაწყება. — აბა რას ამბობ, ბედის კარი მეღება და უნდა შევიდე შიგ. და თუ გონიერათ ვიმოქმედე მეც სასახელო კაცი შევიქნები პარიჟის ბურჟუაზიას შორის, მეც ისე დავაარსებ სავაჭრო სახლებს, როგორც დაარსეს კლერმა, ნუსინჟენმა და სხ. ამხნეებს ცოლს ბიროტო. — არა, მეშინია, ქალური გრძნობა რაღაც სხვას მეუბნება. რას მიიწევი მაღლა, რამ ავითაცა, სურნელოვანი წყლების გამყიდველი ხარ, იყავი ამათ და არა მიწის გამყიდველათ, შეუბრუნა ცოლმა. ბიროტო მაინც თავისას შერება. რათ უნდა მას სურნელოვანი წყლები, რათ უნდა მას ორი სადილი, მეორე ცოლი, არა ეს მას არც ერთი არ სურს, მას სურს შეძლების შეძენა და ამით პოლიტიკაშიაც ჩარევა, მინისტრობა, დიპლომატობა. აი რა ამოძრავებს ამ მეწერილმანეს! ვითომ და რატომ არა, თუ კი ვიდაც ნუსინჟენი და რას-ტინიაკი სახელმწიფოს სათავეში ჩადგა, მას რატომ არ შეუშლია იქავე მიაღწიოს, რით არის მათზე ნაკლები? და აი იწყებს საქმეს, მარა... „ქალის გრძნობა“ მართლდება, და ყოველივე ეკარება („Cesar Birotteau“).

აი რა კანვაზეა მოქარული ბალზაკის რომანები. აი როგორ აღმა-დაღმა მიიწევა-მოიწევიან მისი გმირები. ეს მუღმივი მოუსვენრობა, ეს ხელჩართული ომი ფულის მოსაგებათ არის ნიშნობლივი თვისება ბურჟუაზიული საზოგადოების. ბალზაკი პირველათ მიხედა ამას, პირველათ მან იგრძნო, რომ თანამედროვე ურთიერთობა ეს ბურჟუაზიული ურთიერთობაა ჭ რომანების მთელ სერიაში აგვიწერა ამ კლასის წარმოშობა ჭ განვითარება. მან შექმნა არა მარტო ის ტიპები, რომელნიც ცხოვრებამ უკვე დაამთავრა, არამედ ისინიც, რომელთა მხოლოთ ნასახი ჩასახა ჭ მერე განავითარა. ჭ სანამ იქნება კაპიტალისტიური წყობილება, მანამდი თვითეული კაპიტალისტი ბალზაკის ერთ-ერთი გმირის განმეორება იქნება. ეს კიდევ ცოტაა, პირველათ ბალზაკმა მიანიჭა ფულს, ინტერესს ხელოვნურ ნაწარმოებში ის ადგილი, რაც ნამდვილ ცხოვრებაში კაი ხანია მინიჭებული აქვს. მისი „ადამიანთა კომედიის“ 1) 3-4 ათასი მომქმე-

1) ამ საყრთო სათაურს „La comédie Humaine“ — ატარებს ბალზაკის რომანების მთელი რიგი. თვითეული ამბოჯანი და მთავრებული მთელია, მხოლოთ ერთში



დი პირი ფულის გარეშემო ტრიალებენ, ხოლო სიყვარულს, გრძნობიერებას და სხვა ასეთებს, რასაც ყველა პოეტი უპირველეს როლს ანიჭებდა, აქ მეორე ხარისხობიანი ადგილი უჭირავს. ამ გრძნობამაც ახალ დროში ისე იცვალა ფერი, როგორც ყოველმა. იმან დაკარგა წინანდელი რაინდული მიზიდულობა და უბრალო გროშებზე გადახურდა. და აი ბალზაკსაც არ გამოეპარა ეს ცვლილება და მას თავის სახელი დაარქვა.

სულ სხვაა პუშკინი. პუშკინის ტიპებს ამოძრავებს სწორეთ ის, რაც ბალზაკმა ასე ჩამოაქეცია. პუშკინის რუსები გატაცებულია თავისივე გრძნობით, თავისივე ოცნებით და მორალურ კმაყოფილებაში ეძიებენ ბედნიერებას. აქ ზოგი ნატრობს დაუსრულებელ დროს ტარებას, ქეიფს და უსაქმობას (ონეგინი), ხოლო ზოგი კი დაუსრულებელ მყუდროებას, შინ ჯდომას და მეოჯახეობას (ტატიანა). ცხადია, ის ნიადაგი, რომელზედაც ეს ახალგაზდები იზრდებიან, სრულებით არა ჰკავს იმას, რომელზედაც ბალზაკის ხალხი აღმოცენდა. და მართლაც, სად საფრანგეთი და სად რუსეთი! აქ ჯერ კიდევ ბატონყმობაა, აქ კიდევ წოდებრივი ზღუდეა ამართული, აქ კიდევ კეთილშობილი წოდება ბატონობს, ბატონობს ყოველგან, და რაღა გასაკვირველია ხელოვნებაშიაც რომ გაბატონდეს. მარა მისი ნიეთიერი მდგომარეობაც იწყებს რყევას და ამით მის ცხოვრებაში ახალი ხანა დგება. და აი არც ერთი ეს მხარე არ გამოპარვია პუშკინს. „ევეგნი ონეგინში“ ჩვენ ეხედავთ ახნაურობას, რომელიც კოტრდება (ონეგინს ვალში უწერენ ყველაფერს) და მის შვილებს, რომელნიც ამაზე თავს არ იწუხებენ და არარაობაში ატარებენ წუთი სოფელს. მეორე მხრით, აქ გამოყვანილი სოფლის და ქალაქის ახნაურობა ძალიან განირჩევიან ერთმანეთისაგან. პირველი, როგორც დიდი ქალაქებისაგან დაშორებული, უფრო პატრიარქალურ პირობებშია ჩაყენებული და გრძნობა-კანებაც პატრიარქალური შერჩენია. გატაცება სიყვარულში, გულწრფელობა გრძნობებში, უანგარობა ანგარიშში, აქ კიდევ რამოდენიმეთ შენახულია. ხოლო ქალაქის ახნაურისთვის, რომელსაც შრავალი ახალი მოთხოვნილებები აღედრა, ყოველივე ეს მეტი ბარგია, მისი მიზანია—*ВЫТТИ ВЪ СВѢТЪ, и tous prix*—გამოსვლა „საზოგადოებაში“, რაც უნდა იყოს. ონეგინი ხელს ჰკრავს სოფლის გულუბრყვილო ქალიშვილის სიყვარულს, მარა როცა ეს სოფელი ქალაქში თხოვდება, მაღალ საზოგადოებაში შედის და ახალ მდგომარეობას იფერებს, მაშინ კი ონეგინი

მას თავდავიწყებამდი შეიყვარებს და ერთხელ გადაგდებულ ტატიანას სიყვარულს უცხადებს. აი ტატიანას პასუხი: „მაშინ, უდაბნოში, შორს ამა სოფლიურ მითქმა-მოთქმიდან, მე არ მოგწონდი... მაშ ახლა რატომ აღარ მცილდები? რატომ ამოგლივართ ნიშანში? იმისთვის ხომ არა, რომ მაღალ საზოგადოებაში ახლა მეც შევედვიარ, მეც მდიდარი და ცნობილი ვარ, ჩემი ქმარი ომებში დაჭრილია, და ამიტომ სასახლეც პატივს გეცემს?“ აი, რა კარგათ მიხვდა სოფელი-ქალაქელის გულის პასუხს. მართალია, მაღალ საზოგადოებაში ბალზაკის გმირებიც კი მიილტვიან, მარა ეინ არიან ესენი ღ ან როგორ? ბიროტო უბრალო მეწერილობანეა, ონეგინი ტახტის მემამულე ახნაური; ბიროტოს სურს შეძლება შეიძინოს და ამით აიწიოს მაღლა, ონეგინი პირ იქით, შეძლებას ფლანგავს, ახნევს ღ მხოლოთ გვარის შეილობით თავმოშორნეობს. ბიროტო მიიწევა მაღლა იმითომ, რომ გავლენა მოიპოვოს, სახელსწიფოს პოლიტიკაში ჩაერიოს და ყოველივე თანახმათ თავის შეხედულებებისა მოაწყოს. ონეგინი კი ტრიანლებს იქ იმითომ, რომ იტრიანლოს, დრო გაატაროს და სხვა არაფერი. ხომ ხედავთ, რა დიდი განსხვავებაა ამ ორ *ВЫТТИ ВЪ СВѢТЪ*-შორის. პირველი თანამედროვეა, მეორე კი ძველებური. მეორე პირველის წინასაფხურია, პირველი მეორის გაგრძელება. საფრანგეთს ბალზაკი აღი ჰყავდა თავისი პუშკინი, ხოლო რუსეთს კი აწი ეყოლება თავისი ბალზაკი.

აი რა დიდი განსხვავებაა ამ ორ მწერალს შორის. მარა თუ ჩვენ ყველა ამ განსხვავებულ თვისებებს მათ მოვაცილებთ, ისტორიულ და კულტურულ სახეს შემოვადრობთ,—ერთი სიტყვით დავივიწყებთ ყოველივე იმას, რითაც ბალზაკი ბალზაკობს და პუშკინი პუშკინობს, მაშინ ხელში დავგვრჩება ერთი რამ, რაც ორივეს ერთ დონეზე დააყენებს, ერთ ფორმაში გამოაჩვენებს, ერთ არსებით წარმოგვიდგენს ღ ეს ერთი რამ განლაგეს იმათი ნიჭი, ნიჭი პოეტური, წარმოდგენა ხელოვნური, გრძნობა შორით მჭრეული. იმათ ერთნაირი სიღრმით ჩაგვახედეს ადამიანს სულში, გვამცნეს ადამიანის გულის საილუმლოება; გადაგვიშალეს ადამიანის გრძნობათა ღელევა, ღ თანაც ყველა ამაში ჩააქსოვეს, ჩაასკენეს ადამიანის ყოველდღიური ჭირ-ვარამი, მისი ყოველდღიური ფაცაფუცი და ცხოვრებისთვის ჭიდილი. და ასე პსინოლოგიური და სოციალური მოვლენა ერთათ შეკონილი, ერთათ ჩამოსხმული, ერთ პირში ხორც შესხმული და განკაცებული,—აი, მათი ღვთიური ნიჭის ნამუშევარი. ეს ძვეს დღეს ჩვენ წინ და გვაგონებს იმ დღეს, როცა ეს ორი ადამიანი ზეცამ ქვეყნათ გამოგზავნა და თან დააბარა: იყავით მოციქული სპეტაკი გრძნობის და მაღალი გონებისა!..

გამოყვანილი ტიპები შეგვკავებს სხვა რომანებისაგან, როგორც მკარგი და მესამე საფისსოვანი წოდების ამოღებები.

ნ. კორდნას.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა წლიური კრება დანიშნულია 29 მაისს, საღამოს 7 საათზე, თფილისის სათავად-ახნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს 1898 წლის ანგარიში, მოისმინოს სარევიზიო კამისიის შენიშვნები ანგარიშის შესახებ, მოხსენება განსვენებული ალ. როინაშვილის ნაანდერძების შესახებ, მიიღოს ამ წლის საფარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა, მოახდინოს არჩევანი საზოგადოების წევრთა და ბოლოს აარჩიოს გამგეობის ერთი წევრი და სამი კანდიდატი.

16 და 17 ამ თვეს წ. კ. საზოგადოების სასარგებლოთ მუშაობაში გამართულ სახალხო სეირნობიდან, როგორც ამბობენ, შემოსულა 2400 მანეთამდე.

26 მაისს პუშკინის ასი წლის დაბადების დღეს თფილისში ასე იღვასაწაულობენ: ნაშუადღევს პირველ საათზე, სამხედრო ტაძრის მოედანზე, შეიკრიბებიან საშუალო და დაბალ სასწავლებლების მოსწავლენი თავისი უფროსებით, აქავე იქნებიან სხვა და სხვა საზოგადოებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელი. პანაშვიდს შემდეგ პროცესიით გაემართებიან სასახლის ქუჩით, პუშკინის ბაღისაკენ, სადაც პუშკინის ძეგლს გვირგვინებით შეამკობენ.

პარასკევს, 20 მაისს, თფილისის კერძო გაზეთების რედაქტორებმა თავის მოლაპარაკებაზე პუშკინის დღესასწაულის შესახებ გადაწყვიტეს; 26 მაისს გადახდილ იქმნას პანაშვიდი პუშკინის მოსახსენებლათ, დაედვას გვირგვინი მის საფლავზე და დაარსდეს თფილისში ფონდი ასოთ-ამწყობთა შესაწევრათ.

თფილისელ მეჩქმეებს, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი სახელოსნოები და დღიურათ მუშაობენ მდიდარ ოსტატებთან, განუზრახავთ დაარსონ თფილისში დიდი საამხანაგო სახელოსნო. თფითოეულმა წევრმა უნდა შეიტანოს საქმის დასაწყებათ 100 მ. მთელი მოგება განაწილდება წევრთა შორის, მათი ნამუშევარის კვალობაზე. ამხანაგობის წევრებათ მიიღებიან ყველა მეჩქმენი გეარტომობისა და სარწმუნოების განუჩიველათ.

რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას ნება-რთვა მიეცა გამართოს მეაბრეშუმეობის გამოფენები დ. ხონსა,

დ. ძველ სენაკსა და ქ. სოხუმში. მეაბრეშუმეობის გამოფენასთან ერთათ გაიმართება მებოლტნეობისა და ყეაილების გამოფენაც.

მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულს კავკასიაში ნ. ნ. მედედევეს შუამდგომლობა აღუძრავს სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას კავკასიაში შინა-მრეწველობის განსაკუთრებული საბჭო. საბჭოს ეალდებულება იქნება: 1, გამოიკელიოს, რა მდგომარეობაშია დღეს შინა-მრეწველობა კავკასიაში და რა გეარ დახმარებას საჭიროებს ამ ქამათ ეს მრეწველობა; 2, გააერცელოს მრეწველთა შორის ტეხნიკური სწავლა-ცოდნა; 3, დაენმაროს და ხელი შეუწყოს მათ, რომ მრეწველთ შელავათით შეიძინონ საჭარო საქონელი, იარალით და სხე. 4, ბაზარი გაუჩინოს შინა მრეწველობის ნაწარმოებს, 5, დაარსოს სახელოსნოები შინა-მრეწველთათვის, 6, დაბეკდოს და გააერცელოს შინა მრეწველობის სახელმძღვანელოები, 7, გამართოს ხოლმე შინა-მრეწველობის ნაწარმოებათა გამოფენები და სხვა. საბჭოს ყეაოლება საკუთარი ტეხნიკოსები სხვა-და-სხვა ადგილებში გასაგზავნათ ამ საქმეების გამო და საკუთარი კორესპონდენტები სტატისტიკური ცნობების შესაკრებათ შინა-მრეწველობის შესახებ. საბჭოს თავმჯდომარეთ იქნება მიწათ მოქმედების მინისტრის რწმუნებული, ხოლო წევრებათ: სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის აგრონომები და ექსპერტები, წარმომადგენლები კავკასიის მთავარ-მართებლისა და კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა, გუბერნატრები და სახელმწიფო ქონებათა გამგენი. ეს პროექტო ამ დღეებშია გადაეცემა განსახილველათ მიწათ-მოქმედების სამინისტროსთან არსებულ შინა-მრეწველობის კომიტეტსო, წერს გან. „Новости“

რუსეთ-ბელგიის ქეა-ნახშირის მწარმოებელ საზოგადოებას ტყიბულში გადაუწყვეტია განაახლოს ბრიკეტის საკეთებელი ქარხანა, რომელიც ამას წინეთ დაიწვა.

ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ბათომაა და ბაქოს შუა მესამე სახალხო მატარებელი იქმნას შემოღებული. ამ მატარებელს სახელათ ჩქარი მატარებელი ერქმევა და გაჩერდება მხოლოთ დიდ სადგურებზე.

ერთი რუსული გაზეთის სიტყვით, ლაპარაკია

აღძრული იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ბაქოში შემნახველ-გამსესხებელი კასრა ნაფთის მუშე-ბისთვის.

უმართებულესმა სენატმა განმარტა, რომ გლეხის ქონება მთელი ოჯახის საკუთრებაა და ამიტომ არ შეიძლება გაყიდულ იქმნას ოჯახის ერთი რომელიმე წევრის ვალში.

მღნ. ვოლკის (რუსეთშია) გემებზე მსახურთ და მომუშავეთ განზრახვა აქეთ საერთო თხოვნა წარუდგინონ მთავრობას იმის შესახებ, რომ იმათზედაც იყოს გაერცვლებული საქარხნო კანონი და აგრეთვე კანონი 11 1/2 საათის სამუშაო დღის შესახებ.

ქ. რიგის გაზრეუბში შემდეგი განცხადება დაბეჭდილი:


1. ყოველგვარი ყრდილობა ხალხისა ქალაქ რიგის ქუჩებსა და მოედნებსე აკრძალულია. სასტიკათ აკრძალულია ყრდილობა აგრეთვე რიგის გზების სადგურებსე.

2. თავმოყრილი ხალხი და კერძო კაცები, ვინც უნდა იყვნენ, დაუყოვნებლივ უნდა დაემორჩილონ მოხელეთა და პოლიციის მოთხოვნებსა და ბრძანებას.

3. ვინც ამ ბრძანებას არ ასრულებს, სასტიკათ იქნება დასჯილი. დღეიდან თავ მოყრილ ბრძანს განჭყდნებას დასჯილი იქნება და თუ ვინმე დაშავდა ამ დროს, დაშავებული თვით იქნება დამნაშავე.

ამასთან საჭიროთა ვცნობ მიემართო ხალხის შატრანთ და ქალაქის მკვიდრთ და ვთხოვო, რომ დღეიდან დაწყებული დაკეტონ ხალხი ალყაფის კარები და თუ ძლიან საჭირო არ იქნება, საღამოს 9 საათიდან ქუჩაში აღარ გამოვიდნენ, რათა შეცდომით არეულობის მომხრეთ არ იქმნან ჩ:თვლილნი და არ დაშავდნენ.

გუბერნატორი სურხოვეტევი.



„კავალის“ კორესპონდენციები.

ბ. ბათუმი. ამ თვის 17 ბათუმის საბჭოს ძორიგ კრებაზე, სხვა კითხვებთა შორის, ორი უფრო საყურადღებო კითხვები გაარჩიეს, რომლებსაც გავაცნობთ მკითხველებს. პირველი—მოხსენება ხმოსან ღუმბაძისა: გიმნაზიისათვის რამდენიმე შენობების არ აშენება და ამით მისათვის გადადებულ ბიუჯეტის შემცირება, მეორე —ლომბარდის შესახებ. კრება გაიხსნა 8 1/2 საათზე. თავმჯდომარეობდა ქალაქის თავის მოადგილე ბ-ნი ივანოვი. მართველობის წევრმა, ბ-ნმა ვოლსკიმ, წაიკითხა ბ-ნ ღუმბაძის მოხსენება. აი რამ გამოიწვია ეს მოხსენება: გიმნაზიის და გიმ-

ნაზიისათვის სხვა-და სხვა შენობების აგება, როგორც არიან მაგ., პანსიონი, საავათმყოფო და სხვები, ქალაქს უჯდება 190 ათას მანეთზე მეტი. ბ-ნი ღუმბაძე თავის მოხსენებაში პანსიონსა და საცხოვრებელ ფლიგელს უარყოფს და ამით 190 ათასი მანეთის ბიუჯეტი ჩამოჰყავს 80 ათას მანეთით ნაკლებზე. მას მოჰყავს სტატისტიკურ ცნობებიდან ციფრები, რომლებითაც ამტკიცებს, რომ ქალაქს გასაყალი ერთობ ბლომათ აქვს და საჭიროა ქალაქის მცხოვრებლებთა ინტერესებისათვის ამ გასაყალის შემცირება. მოხსენების წაკითხვის შემდეგ ხმოსნებმა მოითხოვეს ღუმბაძის მოხსენების შესახებ თვით-მართველობის აზრი. თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამ მოხსენების შესახებ გადაჭრილი აზრი ვერ შეეადგინეთ, რადგან მე და თვით მართველობის წევრი ბ-ნი ვოლსკი სულ სხვა-და სხვა აზრისა გავხდით მოხსენების შესახებო. მე საჭიროთ მიმაჩნია ამ მოხსენების განხილვა კომისიას მივანდოთ და ეს კომისია ახლა ამოვირჩიოთო. ღუმბაძე თხოულობს, რომ მის მოხსენებას ეყაროს კენჭი. თვით-მართველობის წევრი, ბ-ნი ვოლსკი, ეთანხმება ღუმბაძის მოხსენებას და ამბობს; ცხადზე უცხადესია, რომ პანსიონი, პარალელური კლასები და სხვა ამგვარები ფრიად სასარგებლონი არიან, მარა სახეში უნდა ეიქონიოთ მცხოვრებლების ინტერესი, რომლებიც უამისოთაც დატვირთული არიან სხვა-და-სხვა გადასახადებითო. ღუმბაძის მოხსენება თუ გავიდა საქმე არ ბრკოლდება და ქალაქს კი ოთხმოცი ათასი მანეთი და უფრო მეტიც გადაურჩებაო. ბ-ნი ბოგოსლოვსკი წინააღმდეგია ბ. ღუმბაძისა და ვოლსკის აზრებისა.—პანსიონი აუცილებლათ საჭირო არისო,—თქვა მან,—პანსიონი ასპეტაკებს ბავშვის გონება-ზნეობას (!), პანსიონი შელავათს აძლევს ქალაქს გარეთ მცხოვრებ შშობლებს შეილებს აღზრდაშიო. ღუმბაძის მოხსენებით სხვებს, არა ბათომლებს, გიმნაზიის კარები უნდა დაეუკეტოთ, ე. ი. ღუმბაძე ამბობს: ბათუმი ბათუმელებისათვისო. ამას რომ თავი დაეანებოთ, მოგვეცემენ კინებას პანსიონის გაუხსნელობისას? ნუ თუ არ უნდა დავეკითხოთ ამაში საფუძნანსო მართველობას, რომელიც ბათუმის გიმნაზიისათვის 15 ათას მანეთს იღებსო. უნდა დავეკითხოთ საფინანსო მართებლობას და ახლა კი კომისია ავირჩიოთო. თავმჯდომარე დინჯათ აცხადებს, რომ მე ამ საქმისა არაფერი არ ვიცი, მე არ ვავეცნობივარ ღუმბაძის მოხსენებას და არც რამე შემიძლია ეთქვა მის შესახებო. ვიტყვი მხოლოთ იმას, რომ კომისია აუცილებლათ საჭირო არისო.—ახლა ერთს მეც ვიტყვი: რანაირი თავმჯდომარეა ეს თავმჯდომარე! კითხვა გასარჩევათ წამოაყენა და თითონ არხეინათ აცხადებს: მე ამის არაფე-

რი ვიცო, მე ვიცი მარტო კომისიო. თავმჯდომარე მოვალეა წამოყენებულ ყოველივე კითხვაზე პასუხი აძლიოს. ის კი ამბობს — არ ვიციო. წინეთ გამოაცხადა: ბ-ნ ღუმბაძის მოხსენების შესახებ მე და ფოლსკი ვერ შეეთანხმდითო, მაშ ჰქონია მას მსჯელობა ამ მოხსენების შესახებ. მე ასე მკონია, რომ მსჯელობენ მასზე, რაც იციან. მაშ ბ-ნი თავმჯდომარე რას ეკამათებოდა ბ-ნ ფოლსკის, რომ ვერ შეთანხმებულან! ეტყობა, მან კარგათ იცოდა მოხსენების ყოველივე ანბანიც კი, მარა, რაღაც მოსაზრების გამო, თავს იკატუნებდა — არ ვიციო. მე არ შევდივარ იმის განხილვაში, სამართლიანია თუ არა ღუმბაძის მოხსენება, მარა, მიუხედავთ ამისა, არ შევიძლია არ აღვნიშნოთ თავმჯდომარის თავმჯდომარისებურათ არ მოქცევა. უმრავლესობა თხოულობდა, ღუმბაძის მოხსენებას კენჭი ეყაროსო. თავმჯდომარემ დააყენა კითხვა: ვისაც არ სურს ღუმბაძის მოხსენებას კენჭი ეყაროს — წამოდგესო. დგება ბოგოსლოცისკი და ბარე სამი კიდევ. თავმჯდომარე თხოულობს ახლა იგინი წამოდგენ, ვისაც სურს რომ კენჭი ეყაროსო. ბ-ნ ღუმბაძეს აკვირებებს თავმჯდომარის ამგვარი კითხვა და ამბობს: ვისაც არ სურდა, ისინი ადგენ; ცხადია — ეინც არ ადგა, მათ სურს ჩემ მოხსენებას კენჭი ეყაროსო. თავმჯდომარე გაცხარებით არაკუნებს ზარს და ღუმბაძეს თხოვს — ნუ გამისწორებო. ხმები: ყუთი! ყუთი! თავმჯდომარე კიდევ აცხადებს: მე არაფერი ვიციო. გრიეესკი: მაშ გადადევით ეს კითხვა, ეს თქვენ უვლებათ. თავმჯდომარე: მე ვამბობ კამისა საქიროა მეტქი. უმრავლესობა ყუთს თხოულობს. ღუმბაძის მოხსენებამ მიიღო შიშ თეთრი. წინააღმდეგი მ ხმა აღმოჩნდა.

ლომბარდის გახსნა, როგორც ვიცი, შარშან გადაწყდა. ამ კრებაზე ლომბარდის შესახებ გადაწყდა შემდეგი კითხვა: თვით-მართველობის აზრით ლომბარდში მოსამსახურე პირები იქნება 4: მმართველი, ხაზინადარი, დამფასებელი და მოსამსახურე. პირველს ექნება ჯამაგირი 900 მ. წელიწადში, მეორეს — 720 მესამეს — 480 მ. მეოთხეს — 240 მ. ხმოსანი პოდოლევსკი ამტკიცებდა, რომ ხაზინადრათ საქიროა ფრიად სანდო კაცი. სანდო კაცს ვიშოვით მაშინ, თუ რიგინ ჯამაგირს მიეცემთო. ამისათვის შევეერთოთ ორი თანამდებობა ხაზინადრის და დამფასებლისა და დავენიშნოთ ამ ორი თანამდებობის აღმასრულებელს 1200 მანეთიო. პოდოლევსკის აზრს და თვით-მართველობისას კენჭი უყარეს. თვითმართველობის აზრი გავიდა. — ეს ლომბარდი ამ თვეებში მოქმედებას დაიწყებს. იქ დაგირაება შეიძლება შემდეგი ნიუთებისა: ოქროულობის, ვერცხლულობის და მეტალის ნიუთების. ე. ი. ამ ლომბარდით უნდა ისარგებლონ

ოქრო-ვერცხლის პატრონებმა, მდიდრებმა. სწებმა? სწებებს ეინ აქცევს ყურადღებას!

წინა ჩემ კორესპონდენციაში ვამბობდი: პუშკინის სახელზე თვითმართველობა აპირებს აქ ბიბლიოთეკის, სახალხო თეატრის და სხ. აგებასქო. იქავე ვამბობდი, რომ თუმცა საბოლოოთ არ გადაწყვეტილა ეს კითხვა, მარა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბიბლიოთეკას მინც გახსნიან მეტქი. ეს კითხვა საბოლოოთ გადაწყვეტეს და სახალხო სახლს, ბიბლიოთეკას და სახალხო თეატრს „ჰკრეს მოგვერდი“. დაახლეს კენჭნი შავნი! სამაგიეროთ გადაწყვიტეს: დაერქვას პეტერბურღის ქუჩას პუშკინის ქუჩა და რომელღაც ერთ ქუჩას კიდევ — პუშკინის პროსპექტი. გაიხსნას პუშკინის სახელზე პირველდაწყებითი სკოლა. მთელ ბათუმის ქუჩებს, რომ პუშკინის ქუჩები დაარქვან, ეს არაფერია. თვით-მართველობას და თვით ბათუმის ხმოსნებს რომ პუშკინის თვით-მართველობა და პუშკინის ხმოსნები დაარქვან, არც ამით გამოდნება არაფერი. მაშ, არაფერი! ვაშა, არაფერი! მახლას!... X.

ზემო ქართლი. ერთ მეტათ შემაწუხებელ მოვლენათ აქაური ხალხისათვის ადვოკატების, უკაცრავათ, „აბლაკატების“ გამრავლება უნდა ჩაითვალოს. მართლაც ამდენი აბლაკატი, არა მგონია, სადმე იყოს. ისე არიან სოფლებში გაფანტულები, როგორც ქიანკველები; ზემო ქართლი ისევ წოდებრივ ქერქშია ჩაფლული და ამიტომ აქეთ სულ ადვილათ შეატყობთ, რომ ადვოკატი ამასთანავე „კნიაზიც“ უნდა იყოს ლე თუ „კნიაზი“ არა აზნაური მინც. აქ, მაგალითათ, ვერა ნახამთ ადვოკატ-აბლაკატს გლენთავანს. აქაური გლეხი თითქოს არც კი ურევია წერაკითხვის მკოდნეთა ხალხში. დიდ სოფლებშიაც ვერა ნახავთ რომ მათ ან სააბლაკატო საქმე ესმოდეთ და ან საჩარხო. ჩარჩები სომხები და იმერლები არიან აქეთ და ადვოკატ-აბლაკატები მათი „ბრწყინვალეებანი“. მართალია წერა-კითხვის მკოდნე კი არიან ეს ვაჭბატონები, მაგრამ რა ზნეობისა არიან, ამას ნულარ იკითხავთ. ესენი განლაფან სამსახურიდან „ნებისითა თუ უნებლიეთ“ დათხოვნილ-გამოსულნი „ნაპრისტაველი“, პრისტავის „ნაპომოშნიკარი“, ლ. სხ. ზოგიერთებს, რომელთაც უფრო ყრუ დროს დაუწყიათ თავისი ხელობა, გვარიანათ ჩაუჯიბნიათ და კარგი შეძლება „შეუძენიათ. ახირებული და სასაცილოა ამათი ხეობი. ისინი იმითიც განირჩევიან სხვა კუთხის აბლაკატებისაგან, რომ მარტო ფულს არ უყურებენ და ხალხს თავის საადვოკატოში ხორავს, წერილფებს: ქათამს, ვარიას და ბატს ართმევენ და მით საჩივრის და ერთმანეთის გადაკიდებას ხელს უწყია-

ბენ. და ხომ მოგეხსენებათ., სოფელში ფული ცოტა ძვირი განლაგეს და ხარაგეულობით ვალის გადახდას აქაური გლეხი კაცი არაფრათ ავდებს, თუმცა კი მისთვის საზარალოა. რასაკვირველია, ამ ხელობის კაცმა იმისთანა საჩივრებს უნდა მიპართოს, საიდანაც მეტი ვარია და ბატი გამოვა. მართლაც ერთმა აქაურმა აბლაკატთაგანმა მიჰყო ხელი და სოფელი არ დარჩენილა, რომ ამას ხალხი არ გაებრიყვებოდა. ჯერ მამასახლისს აუტეხა საჩივარი და ხალხს დაპირდა მაგას აქ არ დაეყენებო. და გლეხებსაც მოჰქონდათ და მოჰქონდათ „გასამრჯელო“. აბა წარმოიდგინეთ ათასი ბატი და ქათამი, ცოტა ხომ არ არის. ამას ფულათ აქცევს და ერთათ გამოჩნდება, გლეხი კი ერთ ბატსა და ვარისს არაფრათ ავდებს. შეიქნა საჩივარი, მაგრამ ისევ ხალხმა დაამტკიცა მამასახლისის სიმართლე და დარჩა ხალხი პირში ჩალა გამოვლებული. მერე მღვდლებიდან დაიწყო. ეს ექესი წელიწადია, ერთ წერილ-შვილიან მღვდელს აუტყდა ეს ჩვენი ადვოკატი თვისი დამქაშებით. გამოუტყდა ხალხს, თითო ვარია და ბატი და ორი საყენი შემა ჩამომიტანეთ და სულერთიანათ გაგანთავისუფლებთ მღვდლის სამსახურიდანო. მართლაც, რაღა აჯობებდა იმას, თუ კი ხალხს ერთი გადასახადი მაინც მოშორდებოდა და ხალხმაც წინდაწინ შეუსრულა ადვოკატს სურვილი, იმ პირობით კი რომ დანაპირები სისრულეში მოეყვანა. შეიქნა საჩივარი. მოვიდა გამომძიებელი-გამოსაძიებლათ. გამომძიებელი ეკითხება ხალხს, მართალია, თქვენ იმას ჩივით, რაც თხოვნაში სწერათ? ხალხი ეუბნება, ჩვენ მაგას კი არ ვჩივით და არც გვინდა რომ ვიჩიელოთო, კიდევაც მოგვწონს ჩვენი მღვდელი, ღმერთმა გვიცულოს მაგისი თავი, არამედ ჩვენი „ატუკანტი“ შეგვპირდა, ახალი კანონია, მღვდელს არაფერი უნდა მისცეთო და ამაზე ვიჩიელოთ. თუ მართალია ეგ კანონი, ჩვენც მთხოვნელი ვართ, გადასახადი მოგვაშორეთო. ეს იყო ჩვენი საჩივარი და ამაში ხარჯიც მოგვივიდაო. თხოვნაში სხვა იყო და ხალხი სხვას ჩიოდა და ამიტომ, რადგანაც მაგისთანა კანონი ჯერ არ გამოსულა, ამიტომ თქვენი საჩივარი უყურადღებოთ დარჩება და თქვენ თქვენ „ატუკანტს“ ტყულა გაუცარცვიხართო, გამოუტყდადეს უმაღლესი მთავრობიდან. მას აქეთ, ეს ორი წელიწადია, დადევნ ამ ბატონ „ადვოკატს“ ეს გლეხები, ვარია, ბატები, შემა და ჩვენი გაცდენის ფასი და გვიბრუნე, თორემ ან შენ უნდა იყო და ან ჩვენაო. არის ერთი წიწვნა-გლეჯა. ამისთანა ჯიშის ადვოკატებს რომ თავი დავანებოთ და ჩვენი დალოცვილი ნაფიცი ვეკილები, ან როგორც აქ ეძახიან, „პრისიაციონები“ ავილოთ, ვერც ესენი გვაყრიან ხეირს, როდესაც გავგაბედნიერებენ ხოლმე და ზევით ამოისვირ-

ნებენ. თუ ვადმოგვხედეს ამ დალოცვილებმა ან შუარის ძიებას უნდა წაეპოტინონ და ან კიდევ უფრო „სისხლის აღებას“.



ქვემოთა.

P. S. გორის მაზრის თავად-ახნაურთა წინამძღოლმა თ. გ. ბაგრატიონ-დავითიშვილმა თავის ორ სოფელში მცხოვრებელ გლეხებს საჭირო ფული უსარგებლოთ ასესხა და თუ მოიხმარებენ გლეხები, პატივცემულ თავადს სურს ეს თავნი გლეხებს გადასცეს, რომ გაჭირვების დროს მოიხმარონ ხოლმე და ჩარჩ-ვაჭრებს კარებზე აღარ მიადგენ და მით ქონებით წელში გაიმართონ. კეთილი აზრია, ღმერთმა ხელი მოუმართოს.

კვირიდან კვირამდე

„საუკუნო ანგარიში“ — საუცხოველესი მასხუნი — საკვირველი „ჩოთქის“ ხალხი — Бѣда болѣ сапожниковъ... — როგორც მოსკვალ სვინაო ისე წასკვალ შინაო.

მოგეხსენებათ, ეს მისის თვე კრებების თვეა. კრება თფილისში, კრება ქუთაისში, კრება ოზურგეთში — სულ კრება და კრება. და ყველა ეს უთუოთ ამ ათ დღეში უნდა მოხდეს. ამათ შორის დანიშნულია აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა თავყრილობაც, გამგეობის მოღვაწეობით ასაწონ-დასაწონაეთ. და ეს მოღვაწეობაც მართლაც მაშ ღირსია გაცნობის და მსჯავრის დადების. მართალია მას ჯერ გასული წლის „ანგარიში“ არ დაურიგებია, (უეჭველია კრების მერე დაარიგებს), მარა ეს საქმეს მაინც და მაინც არ დაუშლის. აიღეთ წინანდელი წლის ანგარიშები, მხოლოთ თარიღი შეუცვალეთ და მიიღებთ გასული წლისას. და თუ ზედ არაერთარ თარიღს არ დააწერ, კიდევ უკეთესი, გექნებათ „საუკუნო ანგარიში“, ისე როგორც საუკუნო კალანდრებია ხოლმე. ნუ გვმინია ახალ-ახალი ამბები არ დაგირჩება შიგ შესატანი, გამგეობას არ უყვარს სხვა-და-სხვაობა, თავის შეწუნება, მოქმედების გაფართოება. ის ცემს ერთ და იმავე წიგნს, ყიდის ერთ და იმავეს, იკრებება ერთ და იმავე დღეს, ლაპარაკობს ერთ და იმავე საგანზე და ასე სულ ეს 13 წელიწადია. სკოლების რაოდენობა ხომ, რასაკვირველია, ერთი და იგივეა, არც ბიბლიოთეკების დახსნაზე წუხს, წიგნების გავრცელებაზე ხომ სულ არა, უწყევია ისე დალაგებული თაროზე და რომ პროვინციელი წიგნის ვაჭრები არა — ისე იქნებოდა დალაგებული უკუნისამდე. გამგეობამ მხოლოთ ერთ საქმეში გამოიჩინა დი-



გვიწალებთ ჩვენ და ჩვენი კან-
დიდატიო. არის ერთი წეწვა,
ზოგს აქეთ მიაქეცელებენ, ზოგს
იქით. და აი ამ მიწვე-მოწვევაში
გართულან თვით ბანკინიც და
დაუმალაფთ ის რაც ყველამ
იც-ს და მაშასადამე რაც დასაპა-
ლაფი აღარ არის. რევიზორს დაუ-
ფრთხია არა მარტო ბ. ნა—ლი,
არამედ მისი უფროსნიც და



ბუაჩი

დი უნარი და შრომის მოყვარეობა, სახელდობრ მას-
წალებლების აქეთ-იქით გადაყრა: გადმოყრაში, და
ესეც მას შემდეგ, რაც „დელიყან ღისაგან“ უქაზი
მიიღო, იყავით უფროსნი, მარა მმორჩილებდეთ მეო.
მაშ მობრძანდით 29 ამ თვეს და თქვენი თვლით
იხილეთ ეს უფროსთა გაუმცროსება და უმცროსის
გაუფროსება...

* *

არა ნაკლები საინტერესოა ქუთაისის კრებაც.
აქ, რასაკვირველია, რა კრება იქნება თუ არა ბანკის
კრება და აი სულ დაჩირქიანებული ბიჭები კიდევაც
შეუდგენ კენჭების ჩამოთხოვას, განგვიკითხეთ და შე-

„ოტროტზე“ დაუწერიათ, ეს ჩვენ ბანკს არ ეხებაო
და შეუნახათ. აი პასუხიც ასეთი უნდა! თუ ვინმემ
კრიტიკა გიძღვნას, თქვენ თვალი დახუჭეთ, ვითომ
აქ არაფერიაო, მორჩა და გათავდა. ეს ჩქარიც იქნე-
ბა და ბასრიც. დიან, ფარსავი კაცი ნუ გგონიათ
თქვენ რევიზორი, განსაკუთრებით ის, რომლის მეო-
ნებით ზოგმა სახელი გაიკეთა ლიტერატორის, ხო-
ლო ზოგმა კი უთაურობის.

* *

თეიანობას თუ იკითხავთ, გორის მაზრის მე-
მამულეთა „სინდიკატის“ მეთაურს უნდა მოკითხოთ.
მას ისეთი ვაჭრული წესი შემოაუღია, რომ „სინ-

დეკატს“ საცაა დედა-ბოძიანათ გადაბრუნებს. ის მის მაგიერ, რომ ჭირნახულის ფასს უწევდეს და მით ჩარჩები აიძულოს სოფლის ხალხს მეტი ფული დაუტოვონ, თვითონ დაუწყია ჩარჩობა, ხოლო მისთვის კი ნამდვილ ჩარჩებს გაუწევიათ კონკურენცია. მაგ. სანდიკატი ფუთ პურს ყიდულობდა ოთხ აბაზათ, ხოლო ვაჭრები კი ოთხბაზხ ნახევრათ. ერთი სიტყვით, სანდიკატს და ჩარჩით როლები გაუცვლიათ, იმ განსხვავებით, რომ ჩარჩი თავის საზოგადოებრივი მოღვაწეობას არავის უჩიხინებს, ხოლო სანდიკატი კი სახალხოთ იძახის: მე უნდა ვიხსნა გორის მაზრა სიღარიბისაგან, მაშ მოიტანეთ ხალხნო რაც შეიძლება იაფათო... ეს კიდევ არაფერი, ხალხის ინტერესს ვინ დაგიდევს, როცა თავისი ინტერესიც ვერ შეუგნიათ. მაგ. თქვენ შეუკვეცეთ 60 ათასი ფუთი ქერი კარგ ფასებში. ამაზე გიპასუხებენ, შენ მოგიცლია, სად გეცალია ასეთი წვრილი რამეებისათვის, ჩვენ ჯერ საფიქრელათ ბუხვალტერის „კადნიერებას“ გვეყოფათ. ასე იტყვება თვით „კეთილსამიერდო“ „ივერია“, მრდი და ნუ დაუჯერებ...


* *

ერთ დაუჯერებელ ამბავს იმავე გაზეთში სოფლის მოძღვარი მოგვითხრობს. მას აჰ ჩვენ ტანჯულ ქვეყანაში ერთი ბედნიერი კუთხე აღმოუჩინია, სადაც თურმე „მოქალაქობრივი ცხოვრება“ დულს და გადმოდულს, და თან არც გზებია, არც ბაზარი არც ყიდვა გაყიდვა—ერთი სიტყვით არაფერი თანამედროული. და მიუხედავად ყველა ამისა ის „მოქალაქეობა“ კი საღაცადან მიინც ჩამძვრალა და ხალხიც გაუბედნიერებია. მერე არ იკითხავთ სად არის ეს „მოქალაქეობა“ უმოქალაქეობათ? სად და კურთხეულ თრიალეთში! რას იზამთ, ამ თრიალეთურ სასწაულებას ნუ ვიწამებთ? არა, უნდა ვიწამოთ, რადგანაც წერილ არს, ბავითა მოძღვრისასა თვით ქეშმარიტება ღალადებსო. მაშ გადავსახლდეთ ყველამ თრიალეთში, მოვიწვიოთ ევროპა, ამერიკა და თრიალეთის მოტიტვლებულ გორებზე ნეტარება ვანახეოთ... და რალა გასაკვირალია, ამდენ სასწაულებათა აღმომჩინმა ფილოსოფიაზედაც ბაასი გააბას, ქარხნის „ქვაბსაც“ შევხოს და ბოლოს მარქსიზმიც უყურადღებოთ არ დატოვოს. აი ამაზე იტყვიან რუსები „Бѣда коль сапожникъ начать печь пироги“, და მართლაც რომ ბѣდა!

* *

ერთი საზღაპრო მოღვაწე ბათომსაც აღმოჩინია, თუ თვითონ მას აღმოუჩინია მისდა საბედნიეროთ და სასახლოთ. აქაც არსებობს ერთი ადამიანი, ვისთვის, რისთვის ეს რა საკითხავია, უეჭველია თა-

ვისთვის, ისე როგორც ყოველი სულდგმული. ეს მისი არსებობა ბათომლებმა დაუჯილდოვებლათ არ დატოვეს და ერთ მშვენიერ დღეს საბჭოში ხმოსნათ აირჩიეს, გვეოფა შენთვის ცხოვრება, აწი ჩვენთვისაც იცხოვრეო. (უნდა ეთქვა რომ ისიც „პატრიოტია“, მარა მის რჯულზე კი). ხმოსანმა ხომ უთუოთ რამე უნდა ილაპარაკოს, თვარა რას იტყვიან ამომჩრჩელები. და აი ბ. ბოგოსლოვსკიც კაიხანია ლაპარაკობს და ლაპარაკობს, და მადლობა ღმერთს, რომ არც ერთ მის ნალაპარაკვეს ჯერ-ჯერობით გასავალი არ მიეცა. ამ ბოლო დროს თავი ისახელა იმით, რომ გინდათ თუ არა, პანსიონი უნდა დამიარსოთ, თვარა ჩემ მოძღვრებას ისე ვერ გავაფრცვლებ და ბათომიც დაილუბებაო. მარა მოგვცათ სიცოცხლე, ამ პანსიონებს მოციქულს საქმე უყვეს, რის პანსიონი, რის ფლავი, რის ბოზბაში, არც თქვენი მოძღვრება გვინდა და არც თქვენი პანსიონიო გამოუტყხადეს ხმოსნებმა და გზას გაუყვეს, „როგორც მოხვალ სეინაო, ისე წახვალ შინაო“.



ა. ს. პუშკინი.

(ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა).

დამ წლის 26-ს მაისს შესრულდება ასი წელი, რაც დაიბადა საუკეთესო რუსის პოეტი, ალექსანდრე სერგეი პუშკინი. მთელი რუსეთი, ყოველი მისი კუთხე, ემზადება, რომ ღირსეულათ შეხვდეს ამ დღეს და შეამკოა ხსენება იმ პოეტისა, რომლის ნაწარმოებებზე აღიზარდა რუსეთში ყოველი თაობა მეცხრამეტე საუკუნისა, განვითარდა მთელი მისი შემდეგი ლიტერატურა. პუშკინს დიდი მნიშვნელობა აქვს თავის ქვეყნისთვის. მან გამოხატა მართლათ თავის თხზულებებში ყველა საუკეთესო მისწრაფება და იდეალი რუსეთის ხალხისა, დააყენა ლიტერატურა ნამდვილ ნაციონალურ ნიადაგზე, შეამუშავა და განავითარა რუსული ენა. მხოლოთ მას შემდეგ შეეძლო რუსულ ლიტერატურას მიეღწია იმ განვითარებამდი, როგორც დღეს არის.

პუშკინი დაიბადა 1799 წელს, ქ. მოსკოვში. მამა მისი შთამომავლობით იყო რუსეთის ძველი აზნაური. დედა მისი — შვილი-შვილი იმ იზრაგიმ განნიბალისა, რომელიც მან აწერა შემდეგ თავის რომანში, — „პეტრე დიდის არაპი“.

შვიდ წლამდის პუშკინი იყო ზარმაცი, მოუხერხებელი ბავში და არ უყვარდა ტოლ-ამხანაგებთან თამაში. ამნაირი მისი ხასიათი არ მოწონდათ მის მშობლებს; მათ დანარჩენ შვილებზე ნაკლებ უყვარ-

დათ პუშკინი. ბავში გრძობდა ამას და თვითონაც შორს ექრა თავი დედ-მამისაგან. ის მიდიოდა ბეზიასთან, რომელიც ცოცხლათ უხატავდა მას რუსეთის აზნაურობის ცხოვრებას მეთერაქტე საუკუნეში და ასწავლიდა რუსულ წერა-კითხვას. ბეზიას გარდა პუშკინს ბავშობაში ჰყავდა კიდევ ერთი მეგობარი. ეს იყო მისი ვაღია, სახელათ არინა როდიონოვნა. ვაღიამ იცოდა ბევრი ხალხური ზღაპრები, ლექსები და სიმღერები და აცნობდა თავის გაზდილს ხალხურ პოეზიასთან. აი, აქ გაისკვნა ის სულიერი კავშირი პუშკინსა და მის ხალხს შორის, რომელიც შემდეგ ისე გაძლიერდა და განვითარდა.

შვიდ წელს შემდეგ პუშკინის ხასიათი უეცრათ შეიცვალა; ის ახლა თავის ეშმაკობით და დაუდგრობით აბეზრებდა თავს მშობლებს. მისი სწავლება, როგორც მაშინ წესი იყო, მიანდევს უცხოელ მასწავლებელს „გუვერნიორებს“. პუშკინმა მალე შეისწავლა ფრანცული ენა და პირველ თავის ლექსებს ამ ენაზე წერდა. მამის წიგნთ-საცავში მან იპოვნა ბევრი ფრანცული წიგნები და ბავშობიდანვე დაიწყო ლექსების წერა; —ის ბაძავდა ვოლტერს, ლაფონტენს და სხვა მწერლებს, რომლებიც ახდენდენ მათე შთაბეჭდილებას.

როდესაც პუშკინს შეუსრულდა 11 წელიწადი, მშობლებმა მიიბარეს ის ცარსკოსელსკის ლიცეიაში. ლიცეია დაარსებული იყო იმპ. ალექსანდრე I-საგან და იქ მიწვეული იყვენ საუკეთესო რუსეთის პროფესორები. მაგრამ ამ სასწავლებელმა ვერ გააძარტლა ის იმედები, რომელიც მათე ჰქონდათ. პირველ წელიწადს სწავლა დაყენებული იყო იქ შეენიერათ, მაგრამ მერე, როდესაც გადაიცვალა პირველი მისი დერექტორი, პროფესორები გულ-ცრვათ ეკიდებოდენ თავის საქმეს და მოსწავლეებს ყურს არ უგდებდენ. ესენიც ამით სარგებლობდენ და თავისუფალ დროს ანდამებდენ ქეფს და მზიარულებას.

პუშკინმაც მისცა თავი ზარმაცობას და სწავლაზე გული აიკრუა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეკზამენებზე მან გამოიჩინა მოუშადადებლობა. ის დაუმეგობრდა რამდენსამე თავის ამხანაგს და მათთან ერთათ დაიწყო ხელთ-ნაწერ ჟურნალების გამოცემა, სადაც მოწაფეები თავის თხზულებებს ათავსებდენ. საზოგადოათ ამ დროს პუშკინმა დაწერა მრავალი ლექსები, რომლებშიაც ბაძავდა სხვა და-სხვა შინაურ და უცხოეთის მწერლებს. ამათ ნაწარმოებს ის კითხულობდა ლიცეის დიდ წიგნთ-საცავში. მაგრამ ლიცეიდან პუშკინმა ვერ გამოიტანა ვერც საფუძვლიანი სწავლა-განათლება, ვერც შრომის სიყვარული, ისე რომ მთელ თავის სიცოცხლეში ავსებდა ის ამ ნაკლებეანებას. იგი იზდებოდა ლიცეიაში თავისუ-

ფლათ, მდიდარ არისტოკრატ-მეგობართ შორის და გამოვიდა იქიდან 1817 წელს სრულიად მოუშადადებული ცხოვრებისათვის.

სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ პუშკინი გაჰყვა მზიარულ ცხოვრებას პეტერბურგში. ის მიღებული იყო უმაღლეს საზოგადოებაში, ატარებდა დროს ბალებზე და საღამოებზე, წერდა სახუმარო ლექსებს. მან ამ დროს დაწერა თავისი პირველი პოემა „რუსლან და ლიუდმილა“ („Русланъ и Людмила“), რომელიც დაისტამბა 1820 წელს და მოახდინა საზოგადოებაში დიდი შთაბეჭდილება თავისი ახალი, ხუმარა კილოთი და მსუბუქი, ლამაზი ლექსებით. „რუსლან და ლიუდმილაში“ მართლა ძალიან ლამაზი ლექსთა-წყობა და ოხუნჯობა არის, მაგრამ ამ პოემაში პუშკინი არის მხოლოათ მიმბაძველი არიოსტოს და ლაფონტენისა. მასში ჯერ არ ჩანს „ევეგენი ონგენის“ და „ბორის გოდუნოვის“ ავტორი. მეგობრების ქებით თავ-ბრუ დასხმული პუშკინი ვერ გრძობდა ჯერ კიდევ მაშინ თავის დანიშნულებას, და ძალიან შესაძლებელია, მისი ნიჭი გაქარწყლებულიყო ამ ხუმარა და საოხუნჯო ლექსების წერაში, რომ მისი ცხოვრება უეცრათ არ შეცვლილიყო.

იმ დროს პეტერბურგში იყო ბევრი მალული პოლიტიკური საზოგადოება. გატაცებული მათი აზრებთ, პუშკინი ცდილობდა შესულიყო წევრათ ერთ მათგანში. მაგრამ ის არ მიიღეს, როგორც თავქარიანი და არა საიმედო კაცი. თავმოყვარე ყმაწვილ პოეტს ეწყინა ეს, და მან დაიწყო პოლიტიკური ეპიგრამების წერა, რომლებშიაც თამაშათ იჩენდა თავის ლიბერალიზმს. ეს ლექსები ვრცელდებოდა საზოგადოებაში და ერთი მათგანი ჩაუვარდა ხელში მთავრობასაც. მაშინ პუშკინი გადაიყვანეს პეტერბურგიდან იაროსლავს სამსახურში 1820 წელს. აქ, პეტერბურგზე დაშორებული, პუშკინი უფრო ჩაუყვირდა თავის დანიშნულებას და მისმა ნიჭმა სწრაფათ დაიწყო განვითარება.

იაროსლავიდან პუშკინი დროებით დაეთხოვა სამსახურს—და ღენ. რაევსკის ოჯახობას მოჰყვა კავკასიაში კავკასიის ბუნებამ მოახდინა მათე მძლავრი შთაბეჭდილება, და ლექსები, დაწერილი მისგან ამ დროს, ავსილია ჩვენი ხალხის და ბუნების ცოცხალი სურათებით. აქ დაწერა მან თავისი პოემა „კავკასიის ტყეე“, („Кавказскій Пльнникъ“), რომლის საუკეთესო ნაწილს შევადგენს ჩერქეზთა ცხოვრების და კავკასიის დიდებული ბუნების მხატვრობა. რაევსკის შეილებმა ასწავლეს პუშკინს ინგლისური ენა და მათთან ერთათ დაიწყო პუშკინმა ბაირონის კითხვა. ბაირონის უძლეველმა ნიჭმა დამოაჩინა ახალგაზდა პოეტი, და მის გავლენას ქვემ იმყოფებოდა პუშკინი თითქმის ოთხი წელიწადი.

ბაირონის მიზადებით დაწერა პუშკინმა სამხრეთ რუსეთში ყოფნის დროს სამი თავისი პოემა „კავკაზუცუვე“ (1821) „ბახჩე სარაის შადრევანი“ („Бахчисарайский Фонтанъ“ 1822) და „ციგნები“ („Цыганы“ 1824 წ.წ.).

ყველა ამ პოემებში პუშკინმა დაახასიათა ერთი ბაირონისებური ტიპი. მას გამოჰყავს კაცი, რომელმაც უარ-ჰყო ცივილიზაციური საზოგადოება, რადგან ვერ ჰპოვა მასში ვერც თანაგრძნობა, ვერც ბედნიერება. აღარ სწამს მეგობრობა, რადგანაც მეგობრებმა ვერ გაიტანეს ის, არ რწამს ბედნიერი სიყვარული, რადგან ვერ ჰპოვა იგი. ის წყევლის განათლებულ საზოგადოებას და ეცლებამას. ის უახლოვდება ბუნებას, უბრალო ხალხს (მაგალით. „კავკას. ტუვე“ მიდის კავკასიაში, ალექო — ციგნებთან), რომ იქ მანც ჰპოვოს თავისუფლება.

ამაირია ბაირონისებური ტიპები, რომლებიც გამოიყვანა პუშკინმა თავის პოემებში. მაგრამ ამისთანა ტიპი, რომელიც ევროპაში ისტორიამ დაჰბადა, არ ეთანხმებოდა რუსეთის ცხოვრებას. ეს იგრძნო თვით პუშკინმა და უკანასკნელ თავის პოემაში მოხდა ბაირონისებურ გმირს გვირგვინი, გვაჩვენა რომ მისი უკმაყოფილება და გულ-გაგრილება არის შედეგი მისი ეგოიზმისა. ჩვენ ვხედავთ, რომ ალექოს (პოემიდან „ციგნები“) სურს თავისუფლება მხოლოდ თავისთვის და სხვებს კი ადებს იმავე ბორკილს, რომელსაც თვითონ ასე წყევლის.

ამ უკანასკნელ პოემაში ჩვენ ვხედავთ, რომ ბაირონის გავლენა პუშკინზე თან-და-თან სუსტდება და ის გამოდის თავის საკუთარ გზაზე.

კავკასიიდან პუშკინი წავიდა კიშინიოვში, სადაც გადაიყვანეს მისი უფროსი. კიშინიოვში პუშკინი ატარებდა დროს ორნაირათ: ერთი მხრით ის ეძლეოდა გიჟურ ქეიფს, მეორე მხრით კი ავითარებდა თავის გონებას კითხვით და წერდა ზემოთ მოყვანილ პოემებს და სხვა ლექსებს.

სამ წელს შემდეგ მისი ბედი ისევ შეიცვალა. ის გადაყვანეს ოდესაში და იქ პუშკინს უსიამოვნობა მოუვიდა თავის ახალ უფროსთან, ეორანკოვთან; იმავე დროს მთავრობას ჩაუყარდა ხელში ერთი მისი გაუფრთხილებელი წერლი, და მაშინ პუშკინი გაგზავნეს პსკოვის გუბერნიაში, დედის მამულში, ს. მიხაილოვოში, სადაც მას უნდა ეცხოვრა და ნება არ ჰქონდა სხვაგან წასულიყო. როგორც ჩვენ დავინახეთ, პუშკინის ნიჭმა ამ დროს თავი დააღწია ბაირონის გავლენას. მიხაილოვოში ის სრულიად დაადგა თავის საკუთარ, ნაციონალურ ნიადაგს.

აქ პუშკინი ცხოვრობდა მარტო, თავის გადიასთან, უკვირდებოდა სოფლის ცხოვრებას, ჰკითხუ-

ლობდა შექსპირის ნაწარმოებს, ეცნობოდა ძველ რუსულ ხელოვნებას და ხალხურ პოეზიას.

ყველა ამან დიდი გავლენა იქონია მის ნაწარმოებებზე, რომელნიც მან დაწერა ამ დროს. მათში ჩვენ ვხედავთ პუშკინს, რომელმაც იგრძნო თავისი ნიჭი და დანიშნულება ხალხური, ნაციონალური პოეტისა. სხვა შევნიერ ლირიკულ ლექსებს ვარდა, პუშკინმა დაწერა აქ დრამა „ბორის გოდუნოვი“ („Борис Годуновъ“) და ექვსი თავი რომანი „ევგენი ონეგინისა“ („Евгений Онегинъ“). „ბორის გოდუნოვი“-ში მან დაგვიხატა ერთი ძლიერ საინტერესო ეპოქა რუსეთის ისტორიისა, მეფობა გოდუნოვისა და მისი ბრძოლა „სამოზენეცთან“. პოეტმა სრული სიყვარულით და სიმართლით აღადგინა თავის დრამაში მთელი ეს ეპოქა. მკითხველს თვალწინ უდგას მკვლელი მეფე, გოდუნოვი, რომელსაც მოელის მკვლელობისთვის ხალხისგან დასჯა, შთამოგებისგან განკიცხვა. ხალხის დასჯის იარაღთ გამოდის ახალგაზდა, თავზე ხელ ადებული „ცრუ — დიმიტრი“, რომელიც ირქმევს ბორისისგან მოკლული მეფის შეილის სახელს და ებრძვის ბორისს. ამ ბრძოლაში ის იმარჯვებს, მაგრამ მისი გამარჯვება არის მხოლოდ წუთიერი. მან ჩამოაგდო ტახტიდან მკვლელი, დასრულა ხალხის სურვილი, მაგრამ თითონაც მკვლელობით დაჯდა ტახტზე. და აი, იმანაც, როგორც ბორისმა, უნდა გაცეს ხალხს პასუხი. ის სიტყვები, რომელსაც „ცრუ დიმიტრი“ ამბობს ბორისზე: „не уйдешь ты отъ суда мірскаго, какъ не уйдешь отъ Божьяго суда“ არის იდეა მთელი დრამისა და შეეხება როგორც ბორისს, ისე თვით „სამოზენეცსაც“.

რომანი „ევგენი ონეგინი“ გვინახტავს პუშკინის თანამედროვე საზოგადოებას. ეს საზოგადოება იყო — ორ ნაწილათ, ერთი მხრით ჩვენ ვხედავთ რუსეთის სოფლის აზნაურობას, რომელიც ცხოვრობს თავისი ძველი ტრადიციებით, რომლის საქმიანობას შეადგენს მხოლოდ მამულის მოვლა, ჭირიკანობა და სმა-ჭამა. ამ საზოგადოების წარმომადგენლებათ გამოყვანილი არიან რომანში ლარინები, გვოზდინი, პუსტიაკოვი და სხ.

მეორე მხრით რომანში დახატულია სწავლა მიღებული პეტერბურგის საზოგადოება მეოცე წლებისა, რომელიც პეტრე დიდის რეფორმებით დაახლოვებულია ევროპასთან. ამ საზოგადოების წარმომადგენელი არის რომანის გმირი, ევგენი ონეგინი.

ონეგინი დაბადებით ეკუთვნის უმაღლეს საზოგადოებას. ის გამოიზარდა მამის სახლში, „გუვერნიორების“ ხელში, რომელნიც ასწავლიდნ მას ცოტ-

ცოტა რამეს ყოველი საგნიდან:— ისტორიიდან, სიტყვიერებიდან, ლათინურიდან და სხვ. მის გუფერნიორს ეშინოდა, ბავში მეტი სწავლით არ დატანჯულიყო, და ხშირათ დაჰყავდა ის სასეირნოთ პარკებში.

თვრამეტი წლის გამოვიდა ონეგინი ცხოვრების ასპარეზზე. საზოგადოებაში მან მოახდინა შენეირი შთაბეჭდილება: მან იცოდა კარგათ ფრანგული ლაპარაკი, შეეძლო სჯა თაე-მომწონეთ ყოველ საგანზე, ახსოვდა ორიოდ ლექსი ვირგლის „ენეიდიდან“, ჩინებულათ ტანცაობდა და ეარშიყებოდა ქალებს. საზოგადოებას მეტი არაფერი უნდოდა და მან ალტაცებით მიიღო ონეგინი თავის წრეში. მაგრამ თვით ონეგინს მალე მოწყინდა ბალებში სიარული და ქალებთან არშიყობა. მისი ბუნებრივი ჭკუა ითხოვდა სხვა მასალას. დაღრემილი სახით, როგორც ბაირონის გმირები, დადიოდა ის საზოგადოებაში და ბოლოს სრულიად მოშორდა მას. იმან დაიწყო რომანების და ფილოსოფიური წიგნების კითხვა, მაგრამ რადგანაც საფუძელიანი მომზადება არ ჰქონდა, ვერ დაუდვა გული ამ საქმეს და კითხვას თაე დაანება. მან გადაწყვიტა, რომ არ არის შექმნილი ცხოვრებისთვის, რომ ბედნიერებას ვერ ჰპოვებს ქვეყანაზე. მას არა აქვს არც იდეალი, არც სიცოცხლის მიზანი. და მართლაც, აეტორმა გვაჩვენა, რომ ონეგინს არ შეუძლია არც თვითონ ჰპოვოს ბედნიერება, და არც სხვას მიანიჭოს იგი. ამას ვხედავთ ჩვენ, როდესაც ტატიანა უცხადებს ონეგინს სიყვარულს და ონეგინი კი უარ-ჰყოფს მას.

ონეგინის გვერდით პუშკინმა დაგვიხატა რომანში მეორე ტიპი, თავისი იდეალი რუსის ქალისა. ეს იდეალი არის ტატიანა, რომლის გულშიც შეთანხმებულია ნაციონალური რუსული საუკეთესო თვისებანი ვეროპიდან გადმოღებულ განათლებასთან. ეს იდეალი ისეთი საესებით და სიმართლით არის დახატული აეტორისაგან, რომ მთელ შემდეგ რუსულ ლიტერატურაში მხოლოთ ტურგენეის ლიზას (რომანიდან „Дворянское гнездо“) აღარებენ მას.

აი, ეს თხზულებები დაწერა პუშკინმა მიხაილოვოში. მაგრამ მას მობეზრდა ორი წლის სოფელში ცხოვრება. 1826 წელს, როდესაც ჩიიცვალა იმპ. ალექსანდრე I და ტანტზე დაჯდა ნიკოლოზ I, პუშკინმა ითხოვა მთაერობის წინ პატივება, და მეგობრების შემწეობით მისი თხოვნა შეწყწარებული იქმნა. პოეტი დაბრუნდა პეტერბურგში 18 აქ თვით იმპერატორმა ნახვის დროს გამოუცხადა მას თავისი თანაგრძნობა და მფარველობა; დაიმედებული პოეტი ჰფიქრობდა, რომ აწ დაიწყებოდა მისთვის ბედნიერი ცხოვრება, და ემზადებოდა, მთელი თავისი ძალ-ღონე ლიტერატურისთვის შეეწირა. მაგრამ მისი იმედები ვერ შესრულდენ. მეფის მფარველობამ აღძრა საზოგადოებაში

შური მის წინააღმდეგ და მტრები ცდილობდენ ყოველნაირათ უსიამოვნობა მიეყენებინათ იმისთვის. პუშკინს ახლა ხშირათ მოდიოდა მწუხარე ფიქრები და ამ ფიქრების გასაქარებლათ ის ატარებდა დროს მოგზაურობაში პეტერბურგს, მოსკოვს და სოფელს შუა. მაგრამ სეედა არ ცილდებოდა პოეტს. ბოლოს, 1829 წელს, ის წავიდა აზრუმში რამ მიელო მონაწილეობა კავკასიის ომში პასკევიჩთან ერთათ.

თუმცა პუშკინის სულიერი მდგომარეობა ასეთი იყო, იმან ამ დროს დაწერა მრავალი შენეირი თხზულებები; უმთავრესი მათგანი არის რომანი „პეტრე დიდის არაპი“ („Арапъ Петра Великаго“) და პოემა „პოლტავა“. („Полтава“) ამ თხზულებების შინაარსი აღებულია პეტრე დიდის დროიდან. დიდი ნიკით დახასიათებულია ეს ეპოქა და თვით მეფე პეტრე, რომელიც თან-და-თან ცვლის მთელი რუსეთის წესწყობილებას, ებრძვის და ამარცხებს შინაგან და გარეგან მტრებს. „პეტრე დიდს, ამბობს ბელინსკი, არ უნდა შეეხარბოსო იღბალი ახილესისა, რომლის გმირობა ჰომიროსმა აწერა, იმიტომ რომ პეტრეს ჰყავს თვისი მადიდებელი პოეტი—პუშკინიო“. 1830 წელს, აზრუმიდან რომ დაბრუნდა, მას შემდეგ, პუშკინმა შეერთო ცოლი, სილამაზით სახელგანთქმული ქალიშვილი ნ. ნ. გონჩაროვისა.

მაგრამ ცოლის შერთვამ პუშკინს ვერ მოუტანა ბედნიერება, რომელსაც ის მოელოდა.



მას უნდოდა თავისი ოჯახით მოსვენებული ცხოვრება სოფელში, სადაც შეეძლო თავისუფლათ მისცემოდა ლიტერატურულ შრომას,—და ცოლი კი, შეჩეეული საზოგადოებაში ყოფნას და გართობას, თხოვდა თავის ქმარს ასეთ ცხოვრებას; პუშკინი უნდა დასახლებულიყო პეტერბურგში, მიელო სასახლის „კამერ-იუნკრობა“ და ფულის გულისთვის ეკისრა ისეთი საქმე, რომელზედაც არ მიუწყედა გული: ვრცელი ისტორიის დაწერა პუგაჩოვის აჯანყებისა. ამისთანა ცხოვრება ტანჯავდა მას; დღითი-დღე შავი ფიქრები უფრო და უფრო იპყრობდა მის გონებას. მისი ამ დროის ლირიკული ლექსები სეედით და მწუხარებით საესე არიან; ამავე დროს მან დაწერა ერთი თავისი საუკეთესო პოემათაგანი, „სპილენძის მხედარი“ („Мѣдный всадникъ“) მაგრამ ვერ გამოაქვეყნა იგი.

ბოლოს, 1838 წელს, როდესაც საზოგადოებაში გაერცვლდა საძაგელი ჭორი მის ცოლზე და ჰოლანდიის ელჩის შეილზე, ბარ. დანტესზე, პუშკინმა გამოაწვია ეს უკანასკნელი დუელში; ამ დუელმა უდროოთ იმსხვერპლა რუსეთის საუკეთესო პოეტის სიცოცხლე. პუშკინი გადაიცვალა ჭრილობისგან 1838 წ. 29 იანვარს.

და აი ახლა, როდესაც მთელი რუსეთი ემზა-

დება პუშკინის 100 წლის დაბადების დღესასწაულს, ჩვენც, ქართველებმა, მადლობით უნდა მოვხსენიოთ იმ პოეტის სახელი, რომელმაც პირველმა რუსეთში მიაქცია ყურადღება ჩვენს სულიერ მდგომარეობას და წარმოასთქვა აზრი, რომ ქართველები ღირსი არიან თავისი ნიჭით და წარსულით ევროპულ განათლების და განვითარებისათვის. ამ დღეს ჩვენთან ერთად მთელი ქართველობა უცხადებს თანაგრძნობას რუსეთის ხალხის აღტაცებას პუშკინის ასი წლის დღესასწაულის გამო, მით უმეტეს, რომ პუშკინი იყო რუსეთის საუკეთესო წინასწარმეტყველი პრგრესისა.

იწ. წყნეთელა.



ს ა მ ი წყ ა რ ო .

(პუშკინიდან)

მეალ-გადაუწვდენელ და მწუხარე მსოფლიო ველზე

სამი წყაროა იდუმალათ წარმოხეთქილი:

წყარო პირველი — ემაწვილობის გიჟმაჟი წყარო,

მირბის, მიშხუის, მიიჩქარის, ქაფ-მოფენილი.

მეორე წყარო, მომდინარე მსოფლიო ველზე,

ზე-შთაგონების საამო წყლით ატკობს დენილებს;

უკანასკნელი — დაეწყების ცივი წყაროა...

ყველაზე უკეთ მხურვალე გულს ის გააკრილებს.

იწ. წ.



მეაზრეშუმეთა საყურადღებოთ.

ქუთაისის გუბერნიის ხალხი აზრეშუმის მოყვანას ძალიან ჩაებლაუქა, რაიცა ჩანს იქიდან, რომ წელს ერთი სამათ მეტი ჰქონს თესლი დაროგდა აფხაზეთ-გუდაუთ-დან სვანეთ-ოსეთის საზღვრამდე, ვინემ წინა წლებში. თუცა ყოველგან დაროგდა თესლი, მაგრამ მა-

ინც დიდი პარტია დააბრუნეს უკან და ბევრი წილი ში ჩაყარეს, გამოსული და დაწუნებული თესლები და ბევრიც შაურ-ორშაურათ და ტყუილათაც გასცეს. ამდენი თესლის აღება ხალხს სიხარბით მაუვიდა, ამან გააძვირა ბჟოლის ფოთოლი და წელს ესადაც ბჟოლა ბევრი აქვს, ის სარგებლობს. ერთ ძირ ბჟოლაში მანეთს და ათ შაურს აძლევენ. ეს საეჭვო არ არის, რომ ბევრს ჰქვას ბჟოლა შემოაკოდება დიდი კანში ამოსვლის დროს და სულ დაილუპებან. მაგრამ პარკი მაინც შარშანდელზე სამჯერ მეტი იქნება. ხონში ჩამოსული პარკის მყიდველები არიან სომხები, ბერძნები და სპარსელები, ესენი პარკს ძრეულ გააჩაფებენ და საწყალ ხალხს გაყვლეფენ, თუ კიდევ სხვა ეაჭრები არ შემოემატა და ამათ კონკურენცია არ გაუწია, და ამასთანავე ამხანაგობაც თუ არ მოემზადა ფულით. პირველთ ახლაც აქვთ პარკი შეკრული, რა ფასებში უნდა იყიდონ პარკი და, თუ მიაღწიეს საწადელს ეს ხალხს გულს გაუტეხს, შეაშინებს აზრეშუმის წარმოებას უკან დასწევს და შემდეგ ასე გულ მხურვალეთ თავის დღეში არ მოკიდებენ ხელს. ამისათვის საჭიროა გამყიდველებმა ახლავე პირი შეკრან, ჰქონს სახარხოზი შეიძინონ, პარკები დაამზადონ და სანამ ფასი არ აიწიოს, არ გაჰყიდონ. თუ ჰქონს არ დაახრჩვეს, თვითონვე ყოველივე ამოა იქნება, რადგან პეპელა გამოვა და პარკიც გაფუჭდება. ამიტომ საჭიროა თითონ დაახრჩონ, რომ პეპელა არ გამოვიდეს და კარგ მაზანდამდას ნუ გაყიდიან, თვარა სახარხოზის უქონლობა პარკის მაზანდას წახდენს. რაკი პეპელა დაახრჩობილა წახდენის შიში არაა, მყიდველიც უფრო მოეკიდება და შარშანდელ ფასებში, წრეულსაც გავა პარკი. ვინც დაახრჩობა არ იცის და სურს სწავლა, მოზრძანდეს ჩემთან და მე უსასყიდლოთ ვასწავლი. ჩვენ უნდა ვეცადოთ ხალხს მივეცეთ საშუალება, კარგ ფასებში გავაყიდვიოთ. წინათ მანეთთაძღის ყიდულობდენ ფუთ პარკს, მაგრამ არც საკამიოის იძლეოდენ და არც არაფერს, მარსელიაშიაც მეტი ფასი იყო. დღეს საკამისიოსაც იძლევიან და ჩვენ ხელთ არიან, თუ ჩვენ ამ თავით მომზადებული არ დაეხედით, ისიანი გაიმარჯვებენ და ჩვენ დავრჩებით მშრალზე. კარგი იქნება მოზრძანდენ ჩემთან და დაბეჭდილი დაროგება უფასოთ წაიღონ და მიაწოდონ მეაზრეშუმე ქალებს, რომ სახლში დაახრჩონ პარკი და ისე გაიტარონ ბაზარში გასაყიდათ. გარდა ამისა შეიძლება ზომით გაკიდება; აი, მაგალითათ: იმერეთში რვა ბათმანი — ერთი ფუთია, სამეგრელოში ოთხი ქილა კიდევ ერთი ფუთი. შეიძლება ქადაქის გამგეობას თხოვონ და გამოზომილ — დაბეჭდილ საზომს მოსცემენ. ზომით გაყიდული პარკი, წონაში ყოველ-

თვის სწორია, არც მყიდველი მოტყუვდება და უფრო კი გამყიდველისთვის არის კარგი.

აგრეთვე ეთხოვ მებაბრეშუმეებს ცდას ნუ დააკლებენ ამ თავითვე და ბჭოლა ბლომათ იქონიონ. ამ ერთ კვირაში ბჭოლის მარცვალნი მწიფდება, მაგროვით ძრიელ მწიფე, ჩაყარეთ ტილოში და ორი დღე შიგ დაამჯავეთ, შემდეგ ხელით გაჭყლტეთ და საცერში გაწურეთ წყლით, მარცვლები გააშრეთ ჩრდილში ორ დღეში და შემდეგ ბოსტნეულობისაგან დამზადებული მიწაში დათესეთ, შინაური ფრინველებსაგან დაცივეთ და წრეულსევე ამოვა (შემოდგომაზე). მერე ძირები ამოიღეთ და ისეთ ადგილზე დარგეთ თითო ან ორ-ორი საყენის სიშორეზე, რომ პირუტყვი არ მიეკაროს. ხობის კიდებე კა ნახევარ ნახევარი საყენზე. დარგული მიწიდან ორი თითის სიმაღლეზე ჩაჭერით. ასე მთელი ბჭოლა ძრიელ იხარებს 1).

ჭუთასია.

ანტუკმ ანჯაფრადიქ.



სურათები ჩვენი ცხოვრებიდან.

(ნ ა წ ე კ ე ტ ი).

I

ზაზაფხული იყო. ზამთრის სიცრვისგან დახუთული გარეთ-უბნელი ქალები კარში გამოასულიყვენ და მზის სხივებზე თბებოდნენ.

გარეთ-უბანი კი ერთი სამაზრო ქალაქის ნაწილი გახლავთ და ამასთანავე იმდენათ მიეწივებული ქალაქის გამგეობისაგან, რომ სულ ტალახის გუბეებით და ქოხ-მანებათ არის გადაქცეული. მაგრამ, სულ ქვეშ რომ ეთქვათ, მარტო ქალაქის გამგეობა არ არის დამნაშავე. შეუბრალებელი და კაცის გამაბინძურე-

1) ჩვენი აზრით, წყალს შარკის საქმეს დიდი საფრთხე მოკლავს. რაკი ამდენი შარკი ერთ და იმავე დროს გამოვიდა ბზარზე, უკუკვლია მყიდველთა მოთხოვნის გადაწყვეტას, ფასებში დაიწვეს და ვაჭრობაში საშინელი კრიზისი ჩამოკარდეს. აი, ამ გარემოებას ახლავე

ბელი სილარბზე მთელი თავისი ძლიერებით განმეფებულა გარეთ უბანში და თავისი ელფერიც დაუღვია. რაც კი ამ ქალაქში ბედისაგან თუ გარემოებისაგან დაჩაგრული ხალხი არის, სულ აქ მოუყრია თავი და ცხოვრებს ყველასაგან დაეწივებული, სილარბისაგან დაბნელებული მკაობხევი, ქადაგი, მქსარეცხე, ჰურის-მცხობელი, ერთი სიტყვით, ყველა ვინც კი უკუღმართობას მეოხებით ნებეგრების ხელ-ფეხათ ითვლებს, შეგროვილა ამ უბანში და უსიხარულოთ ატარებს თავის სიცოცხლეს. მაგრამ, თოქოს ვისევე სამაგიეროს უხდიან და უნდათ სამართლიანი შურისძიება გამოიჩინონ, მთელი უბანი გააყვიაებულა და ერთმანეთის კინკლაობაში ამოუღისთ სული: ისე დღე არ დადამდება, რომ ორჯერ-სამჯერ მაინც არ მოხდეს ჩხუბი და მთელმა უბანმა ვანგაში არ ატეხოს, ისე არ გაიეღოს ადამიანი, რომ არ გაჭორონ, ყბათ არ აიღონ. ჭორიკანობა და ლაზღანდარობა - აი რა არის გარეთ-უბნელების სულიერი ცხოვრების უმთავრესი ტაძარი, თავის შესაქცევარი იარაღი ცის მარა დღეს, იმ დროს, როდესაც მამაკაცები სამუშაოთ არიან ხოლმე გაფანტულები, გარეთუბნის მოკლილი დედა კაცები ქუჩაში აღამებენ და ერთმანეთს ემასლაათებიან. მასლაათს ჭორიკანობა, სხერს გაკიცხვა მოჰყვება ხოლმე, ამ ლაპარაკს უთანხმოება, უთანხმოებას შეკამთება და შემდეგ ჩხუბიც.

იმ დღესაც, რომლიდანაც ჩვენი ამბავი იწყება, ცოტა გაწყდა ხარაზანთ სიღონამ და ნალბანდიანთ მაკრინემ ერთმანეთი ქაჩრით არ დაითრიეს. აი, საქმე როგორ იყო: ერთათ შეკრებილ ქალებს ნალბანდიანთ მაკრინე გატაცებით რაღაცას ელაპარაკებოდა. და აღტაცებული ხან ერთს შეხედავდა ხოლმე, ხან მეორეს.

— იცით, რა გითხრათ, ქალებო, დაუდაბლა ხმას მაკრინემ და ორი თითი ტუჩებზე მიიღარა, - აი დერციკიანთ ნასწავლ ქალს რომ ემაწვილი კაცა დასდევს, უი მენი კი დავაყარე იმასაც და იმის ნასწავლობასაც,

უნდა მიაქციონ ყურადღებას და კრიზისის თავიდან აცილნას შეეცადონ. ამ წყვილში დასასულებული დონე - შარკის დასწრება - საუკეთესო დონეთ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ეს სელს შეუშლის ბზრის შარკით აყვას. ხოლო მეორე დონე ის არის, რომ ახლავე გაგებულ იქმნას კვრამის ძახანდა, ფაბრიკების მოთხოვნილება, აქვთ ამით კიდევ შარქანდელი შარკი დაჩხენილი, თუ ახალს ელოდებიან და სსკ. და ეს ცნობები გამოცხადდეს. ყოველივე ეს ამხანაგობების და თფილისის აბრეშუმის სადგურის მოკალეობას და ვარკვი, ამ საგანს მიაქცვდენ ყურადღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიმეორებთ, დიდი კრიზისი შეიძლება ჩამოკარდეს.

რედ.

სულაც იმისკენ იყოს და პირიც, გენაცვალეთ თურ-
მე ნუ იტყვიან...

— რას ნუ იტყვიან! მოულოდნელათ ჩაერია
ლაპარაკში სიღონია, რომელიც დერჯიკიანთ ენათე-
სავებოდა, ჰო, აბა რას ნუ იტყვიან?! შენ არ იცი,
რომ ის ვაჟი ამ ქალის ბიძაშვილია?

— ბიძაშვილი კი არა და მამადაშვილი არ გინ-
და! წამოიწიწმატა მაკრინემ, ძალიან ხელი დააფარე,
თორემ... არაფერ იცის რა შეილებიც არაან.

— ნუ იცი ხოლმე, ადამიანო, ყვრკოთი ლაპარაკ-
კი, თორემ ყოველთვის არ შეგარჩენენ. ისიც გე-
ყოს, რომ გუშინ ი ჩემი მული გაგიტორავს, აქა ვყო-
ფილიყავ, კაი პასუხს მიიღებდი, მაგრამ ბედი შენი,
რომ აქ არ ვიყავ! თავის გაქნევით უთხრა სიღონიამ
და აიღეწა.

— აქ თუ ყოფილიყავ, ყურებზე ხახვს დამაპრი-
დი შენმა სიცოცხლემ, დაცინვით უთხრა მაკრინემ
და დაუმატა.

— რაო, ცილი დასწამო? მაგაზნედაც უარს იტ-
ყვი, არა?

— რატომ ცეცხლი არ გავირდებოდა მაგ პირში,
შე ქოფაკო შენა, ველარ მოითმინა სიღონიამ და
თვალეები გადმოიტრიალა.

— ქოფაკიცა ხარ და მუტრუკიცა, არა, შე მოჰ-
სტორიკა, ვინ არის შენი ქოფაკი ჰა! ძალიან, ძალიან
ვადაფიცეთ თქვენმა სიცოცხლემ, თორემ წმინდა
წყლისანი ბძანდებით აი, გულმოსულათვე შეჰყვირა
მაკრინემ და ფეხზე წამოიჭრა.

მსმენელებმაც შენიშნეს, რომ ხუმრობა აღარ
იყო და ისინიც წამოიშალენ. ატყდა ხმაურობა,
ლაპარაკი: ზოგი ამხედებდა, ზოგი ილრიკებოდა და
მოცინარი სერის უყურებდა. მოჩუბარნი მანც თავის
ას არ იშლიდენ და ერთმანეთს უშვერი სიტყვე-
ბით ლანძღავდენ.

— ერთიც შენა ხარ რიგინი ადამიანი, — ეუბნე-
ოდა მაკრინე, შენი ამბავი „ძალის უბნელებსაც ჰკი-
თხე დაგაფიწყდა განა, კვირაცხოვლობა დღეს მედო-
ლე პაქიკას რომ ეტორღილებოდა?

— დახე, დახე, ამ ბაიყუშსა, ამას, რაგბს ამბობს
ეს ცეცხლ გასაჩენი, ესა, წიკვინებდა ცრემლმორეუ-
ლი სიღონია. გაცოფებულს თავ შალი გვერდზე მოჰ-
ქცეოდა, თმა გამოშლოდა და აღეწილ, გაბრაზებულ
კატუნს მოკაგონებდათ. მზათ იყო მივარდნოდა მო-
პირდაპირეს და ბრჩხილებით თავ-პირი დაეკაწრა.

— დამშვიდდით, დამშვიდდით, თუ დმერთი
გწამთ, ჩაერიენ ლაპარაკში მეზობლები, სირცხვი-
ლია, სხვა რომ არა იყოსრა. მაგრამ მოშველენი ტყვი-
ლათ იტყვიებდენ თავსა. მოჩუბარნი ისევ ილანძღე-
ბოდენ. ამ ხმაურობაზე მთელი გარეთ უბა ი აქ გაჩნ-
და და მოკამათეთ ალყა შემოარტყა. ქუჩის ბიჭები
კი განზე გამდგარიყვენ და სიცილ-კასკასით გაიძნო-
დენ.

— ძიგი, ძიგი, მამალა, შენ იცი და მაგანა! ძი-
გი ძიგი მამალა, შენ იცი და მაგანა!

დაილაღენ მოჩუბარნი. გული ყელში მოებჯი-
ნათ, აღელვებისაგან ლაპარაკ ელარ ახერხებდენ და
სიბრაზისაგან ცრემლები ლაპ-ღუპით ჩამოსდიოდათ.

გამშველვებმა რის ვაი ვაგლახით დააშოშმანეს
ხარაზანთ სიღონია და სახლისკენ პირი აქნევრეს. არა
მშვიდდებოდა მხოლოთ მაკრინე, იგი ისევ ყვიროდა,
რსევ ილანძღებოდა. და როდესაც გაბრუნებული
სიღონია დაინახა მაშინ ხომ ერთი ორათ მოუმატა
ყვიროლს.

— წალი ახლა და სადაც შენი თქვა, იქ ჩემიც
ნუ დაგაფიწყდება, შე მიამუნო შენა, მიაძახა მაკრი-
ნემ მიმავალ სიღონიას.

— შენც შეგარცხენა ღმერთმა და შენი მამ-
გონებელიც, შენ თითონ მიამუნო, უმსკავსო, წუწუკო,
ნაწყვეტ-ნაწყვეტათ მოისმა სიღონიას ხმა.

მაკრინე კიდევ რამდენჯერმე გაილანძლა, შემ-
დეგ თვალი შემოავლო ბრბოს და გაიშმა. ხალხმა
შეწყვიტა განგაში და გარეთ უბანშიც წელ-წელა
სიჭუმე მეფედებოდა. მაგრამ ამ დროს ახლა სხვა სა-
სერიო გამოუჩნდათ გარეთუბნელებს.

იქვე, მახლობელ სახლის კუთხიდან, რომლის
გვერდზედაც ცალ-ფეხი ბილიკი მისდევდა, ტირილ-
ლრილით გამოვარდა რამდენიმე ყმაწვილი. ისეთი
თავ-განწირვით ღრიალებდენ, ისეთი ქულ მოგლეჯი-
ლები მირბოდენ, რომ ხალხმა ძალა უნებურათ ყუ-
რადლება მიაქცია.

— ოო! ესლა გეკლდა „აღათიასაც“ დაურეკ-
ია თავისი ბახალები, სიცილით წამოიძახა ვილაცამ.

— ახლა შენ უყურე იმის წივილ-კივილსა! და-
უმატა მეორემ.

თითქოს ამ სიტყვების წარმოთქმას უცდიდო,
სახლის კუთხიდანვე თავი გამოჰყო ერთმა შუახნის
მანდილოსანმა, რომელსაც შავი განუხებული და
ალოგ-ალაგ დახეული კაბა დაეკარწახებინა, ხელში
მოქნილი წიკპლა აელო და ლანძღვა-გინებით მი-
ბოდა.

თურმე ნუ იტყვიან ამ მანდილოსანს საიდგან-
ლაც შეემჩნია, რომ მისი შვილები მოწაფენი, მისი-
ვე ანაბარები და სხვა ქუჩის ბიჭები კოჭაობდენ. ეც-
ქირნა კარგა ხანს, მაგრამ გულს აღარ გაეძლო, წა-
მოველო წიკპლისთვის ხელი, მიპაროდა თითო-ორო-
ლა ყველასთვის ეთუთქა გვერდებში და სახლისკენ
დაეფრინა. მირბოდა ეს ქალი და თან მოილანძღე-
ბოდა.

— რომ ვერ დავამლევიენ ამ ლაწირაკებს ეს
ოხერი კოჭაობა. არა, რა დროს თამაშობაა თქვე
გასაწყვეტებო, დღეს თუ ხვალ ვგზმენები უნდა და-
გეწყოთ. რათა, შეილო, რათ მისხავთ ცეცხლზე წყალ-
სა. რათ მიფუტებთ ამდენ ამავს, თქვე უღმერთობო.
დედაკაცი წვლებზე ფეხს ვიდგამ და დახე თუ დაინა-
ხონ ამ დასაბრძანებელებმა! სად დამემალენ. სად?
ოიმე ნეტა ამ გაბრაზებულ გულზე ი სოფოს ბიჭი
მანც დამანახვა, დოლის გოჭივით მიწაზე დაეწიწკ-
ნი, იმ კვანხით გასახეთქსა. სულ მან გამირყენა ე
ბავშვები!

— დამაწიწკნი რა, შენი გაზდილი ხომ არა ვარ!
მოისმა საიდგანლაც სოფიოს ბიჭის ხმა — დედა უფრო
გაწიწმატდა, გაბრაზიანდა და წამოჭარხლებული ხალხს
შეცქეროდა. ხალხი კი ხარხარებდა.

— რა არის, ადამიანო, გულს რაზე იხეთქავ,

ბავშვები არიან, გამოგონია, ბენია, აგრე უღმერთოთ მოპყრობა? შენიშნა ერთმა მანდილოსანმა და დასაკეებლათ წინ გადაეღობა.

— რას ამბობ, ადავიანო, მოგეცედი, წელში გავწყვიდი მაგათს ყარაულობით და კიდევ ხედავ, როგორ ცეცხლზე წყალს მისხმენ? აბა, ახლა საღამო ჟამია, ერთი ცენახოთ სმოტრეტელია თუ რალაც ოხრობა თაზევ წამოღვობდათ, ხომ გამომიროცხავენ მაგ უბედურებსა? გაპყროდა დედა და თან შინისაკენ იწვედა. ხალხი კი ისიც ხარხარებდა...

დაცხრა. დაშოშინდა გარეთ უბანი. ხმაურობა შეწყდა. ყველა სახლებში შელაგდა. არ დამშელებულა მხოლოდ დედა. იგი შეეჭრა შეილებს, ერთი, ორი მუჯკლუკური კიდევ უთავაზა, თითოეულს წიგნი ხელში მიაჩნა, უბრძანა კონტი არ დაეძრათ და თავისი ოხერი გაცვეთილები მოემზადებინათ.

ნაცემ-ნაბეგეო ბავშვები მწარეთ სლოკინებდნენ და ცრემლით დალულდებული თვალებით ძალათ მიჩეჩებულ წიგნებს უაზროთ დაჩერებოდნენ.

ის კვლამე.

წერილი რედაქციის მიმართ.

კვლის № 17 ში ამაღლების ბ. კორესპონდენტს მოუთავსებია ჩემ შესახებ წერილი, რომლის შინაარსი ტყეშმარტებს მოკლებულია.

ბ. კორესპონდენტი წერს: თუ საწყაღმა გლეხმა მიმართა მამასახლისს და გამოუცხადა საჩივარი ვინმესე, მამასახლისი აწონ-დაწონავს მონივარ მომასუხისს შირად დიასუხას და იმას, რომელიც დაბად ღობეთ აღმოჩნდება, თუ გინდ მარტალი იყოს, დასჯის, ვისერში წაგვრით გარეთ გამოაგდებს. თუმცა მე ნასწავლი კაცი არა ვარ, მაგრამ ამის შინგედნა მაინც ვი მამ და თანამოყვარებია ჩემში იმდენი ვი არის, რომ ამისთანა სახიზლარი საქმე არ ჩავიდინო. აგერ სამი წელია, რაც მე ვარ მამასახლისით დაწმუნებულ ჩემდამი, ამაღლების საზოგადოებაში და ერთიც არ მოაბეგია ისეთი, რომელიც უმართლეთ შეურაცხყოფილი ყოფილიყავს ჩემთან. ბ. კორესპონდენტი წერს კიდევ: „თუ სოფელმა ვინმე კაცი დააყენა რამე მოხელეთ და მას არ უნდა დგომა ამ თანამდებობაში, საჭიროა მიმართოს მამასახლისს, ცოტა სასუქრით და ის თავისუფალი იქნება“. მე მტკიცეთ დაწმუნებული ვარ, რომ ამისთანა მაგალითს ბ. კორესპონდენტი ვერ იპოვის საზოგადოებაში. და თუ რომელიმე მოხელე იყო თავისუფალი აქ მისი მდგომარეობა იქნებოდა საყურადღებო და საზოგადოების მიერ შესაწინააღმდეგებელი. სმიძრათ მოხდება, რომ სოფელი აყენებს მოხელეთ ამისთანა კაცს, რომელიც ოჯახის ერთათ ერთი მუშაა; მას აწევს ვისერსე მთელის ოჯახის ჩჩენა და სხვა და სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამისთანა შემთხვევაში მე, როგორც მამასახლისის, მიმეჭრევა ვურადღება, ამისნა საზოგადოების წინაშე მისი მდგომარეობა და იმავე დროს საზოგადოებას დაუყენებია სხვა პარი რომელსაც ვიკავდა ვიდეკ ოჯახში ხარა ან სამი მუშა. თუ მართლა ბ. კორესპონდენტის წერილის მსგავსათ ვიჭრეოდე, მე დაწმუნებული ვარ,

ამაღლების საზოგადოების მცხოვრებთ არა რომელიმე მამასახლისისათვის არ დაუთმიათ ცუდი და ბოროტი მოქმედება, მიუძრთავსთ მთავრობის წინაშე თხოვნით და ის ყოფილა განხივრით დასჯილი, რომლის მაგალითიც ბევრია, და მეც, უსათუოთ, არ დამტოვებენ უყურადღებოთ; მაგრამ ამდენი სხას განხივრებაში ერთიც არ მიჭრეულა, სადაც ვერ არს ჩემ შესახებ საჩივრებათ. ნუ თუ ამისთანა შემთხვევაში მე ვარ შემცდარი? ბ. კორესპონდენტი წერს, რომ საღესში გაიგონებთ: „სულთა მსკითავი ამოგინჩეთა“, — ამის ღამაჩავს ბ. კორესპონდენტი ვი ვერ გაიგონებს და საზოგადოებაში ამას ვი სმიძრათ ამბობენ, რომ მე ჩემის გულ წრფელი მეცადინეობით, დაუღალავი შრომით, საზოგადოების კეთილ დღეობისათვის და მათი სასარგებლოთ გამოგველეო და ვიდეკაც გადავსდევნი რამდენიმე ასი მახეთი იმ მოხელე შირებს, რომ ლესაც მიღებული ქქონდათ გლეხებისაგან და უსლოდათ ჩუკვრისათ, და ვიდეკაც წარვადგინე სადაც ვერ არს. ბ. კორესპონდენტს არ დაუგოვებია უყურადღებოთ სწავლა განათლების ამბავიც და ვიდეკაც ამ სიტუქციით ისწავის: „ერთ კვლასანის ორ კვლასინათ დაარსება, საძვიახველოს გასნა და სხვა და სხვა ამისთანები აქაურებს ჩინურ სურმით მიანინაო“. მე არ ვთვლივარ, რომ მოამბოვებოღეს ისეთი სოფელი ოზურგეთის მაზრაში, მით უმეტეს ას. ლანდელ დროში, რომ სწავლა განათლების აგების დაარსება სასარგებლოთ თუ მახელები არ იცოდეს. თუ ამაღლების საზოგადოებამ ვერ ვერ დააკვირვების ერთ კვლასანის ორ კვლასინათ ამის მიზეზი უფლდინარება ვი არ არის—არამედ სიღარობა. ისეც საკუთარ მიწაწყლით შემოკლებულ საწყელ გლეხებს დაედათ ველი. (ვარდა სახელმწიფო და სასოფლო მოთხოვნისათ). 4385 მანეთი, რომელმაც გაწევიტა წელში და ბევრს ვიდეკაც გაუძრავილა ოჯახი საოჯახო ნივთებისაგან. აბა, ბ. კორესპონდენტი! ამისთანა მდგომარეობაში მყოფ საწყელ გლეხების შესახებ აიღე ხელში ვალამი და წერე და წერე.“ მდიდრის სოფელი სმიძრით, დროით, პურით, ღვინით და, რადგანაც დაკვირვებია, რქო ვერცხლის მადანიც დასიანი! ს. ამაღლების საზოგადოების მამასახლისი თ. დოლიძე. 1)

1) ასეთივე თავის გასამართლებელი წერილი მივიღეთ ამაღლების სოფლის მწერლისაგან. ღუქრთმა ქქნას, რომ ეგვლას ეს ასე ყოფილიყოს, მსოფლოთ ის ვი ვიცით, რომ კორესპონდენტის ამაღლების შესახებ სანდო შირის მოწერილია და მას არც რამე ინტერესი აქვს სოფლის მოხელეთთან.

თვლილის განხეთების და ჟურნალების— „აღბიურის“, „ჯეჯილის“, „კავკასიის სასოფლო სამეურნეო განხეთის“, „კვალის“, „მეშაის“, „ნოვოე ობოზრენის“, „თარაზის“, „თფილისის ფურცლის“ და „ცნობის ფურცლის“ თაონრობით, ოთხშაბათს, 26-ს მაისს, დღის 11 საათზე, ქვაშუეთის ეკლესიაში ვადანდილო იქმნება ჰანაშვიდი დიდებულიის რუსის მწერლის ალექ. ს. ძმ პუშკინის სულის მოსახსენებლათ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.